BLACK

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – ღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

# საწვავი 5–10 თეთრით ძვირდება?



რას პასუხობენ ,,ალიას“ ნავთობკომპანიები


N94/3024/ 20-23 ივნისი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წ.

WWW.ALIA.GE


## ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ალიევს სააკაშვილის თხოვნით გაუშვია...



სოსო ჯაჭვლიანი:

## ,,მე ახლა ვიტყვი სრულ სიმართლეს...“

,,ოცნების“ დეპუტატი საკუთარ გუნდს უპირისპირდება



## რა დრო რჩება ,,ნაციონალების“ აგენტურის ამოქმედებამდე?



## ,,ოცნებიდან“ წამოსული მერაბ შათირიშვილი ერისკაცთა სათათბიროს ქმნის



## უგულავას და კობა სუბელიანს ახალ ბრალს წაუყენებენ?



## უკრაინამ რუსეთის პატრიარქი პერსონა ,,ნონ გრატად“ გამოაცხადა

როგორია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია



## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბულაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დაველოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001


# საწვავი 5-10 თეთრით ძვირდება?

## რას პასუხობენ „ალიას“ ნავთობკომპანიები



**ექსპერტების პროგნოზით, საქართველოში შესაძლოა, საწვავი 5-10 თეთრით გაძვირდეს. გაძვირების მიზეზად ერაყში არსებული ომი, რუსეთ-უკრაინის კრიზისის გაღრმავება და ტურისტული სეზონი სახელდება.**

**ექსპერტების პროგნოზსა და გავრცელებულ ინფორმაციაზე საწვავის ფასის მატებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ „ვისოლი“ და „სოკარი“. ჩვენს შეკითხვებს მხოლოდ „ლუკოილმა“ და „გალფმა“ უპასუხა.**

**„გალფის“ მარკეტინგისა და პიარის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნინო ჯიბლაძემ „ალიას“ განუცხადა. „ჩვენთან არ დაწყებულა მსჯელობა იმაზე, მოიმატებს თუ არა საწვავის ან ავტოგაზის ფასი. ამ საკითხზე არ ვმსჯელობთ. ვიცნობით ინფორმაციას, ვიცით ექსპერტების პროგნოზი, მაგრამ რეალობა არის ის, რომ არ ვგეგმავთ ფასების მომატებას, ამ ეტაპზე მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ“.**

**„ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილე შავლეგო მიშელაძე არ გამორიცხავს საწვავზე ფასის მომატებას.**

– ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებები ნამდვილად არის მიზეზი იმისა, რომ გაძვირდეს საწვავის ფასი მსოფლიოში, რადგან ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებელია ერაყი. თუკი მოვლენები განვითარდა ისე, რომ მსოფლიოში ნავთობზე ფასებმა დაიწყო გაზრდა, სამწუხაროდ, ფასები ჩვენთანაც შეიცვლება. როდის მოხდება ეს, ზუსტი თარიღის თქმა გამიჭირდება. ფასების მატებას მომენტალური რეაქცია არ აქვს ხოლმე და იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი დარეგულირდება და დარჩება ისე, როგორც არის, ან პირიქით, წავა გაიაფებისკენ.

**— თუკი მსოფლიოში მოიმატებს საწვავის ფასი, საქართველოში რამდენ ხანს შეძლებთ ძველი ფასის შენარჩუნებას? რამდენი ხნის მარაგი გაქვთ?**

– ამაზე ზეპირად ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ.

**— ავტოგაზის ფასებთან დაკავშირებით მოსალოდნელია რყევები, გაზრდის კუთხით?**

– რატომ? რამე განსაკუთრებული ხდება ავტოგაზზე ისეთი, რაც წინა კვირაში არ იყო? არავითარი კავშირი არ აქვს ახლა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ავტოგაზზე. თუ საქართველოს ბაზარზე მეკითხებით, აქაც არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ფასის მატება ნამდვილად არ არის მოსალოდნელი.

**„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე:**

– ჩემი აზრით, საერთაშორისო ბაზრებზე ოდნავადაც, რომ გაიზარდოს ფასი და ამის მოლოდინი ნამდვილად არსებობს საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბვის გამო, ნებისმიერ შემთხვევაში ამ ფაქტებმა საქართველოში რაიმე არსებითი ცვლილება არ უნდა გამოიწვიოს, იმიტომ, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასი არანორმალურად მაღალია. ამიტომ იმპორტიორ კომპანიებს უნდა ეყოთ ნამუსი და პასუხისმგებლობა, რომ არ ძარცვონ საკუთარი ხალხი. წესით არ უნდა გაიზარდოს საწვავის ფასი, უმნიშვნელოდ კი შესაძლოა ითამაშოს ფასმა. თუ ფასი მაინც შესამჩნევად გაიზარდა, მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ინტერესები ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნავთობპროდუქტების იმპორტიორების ინტერესებთან თანხვედრილია და ისინი ნებისმიერ საგარეო სიგნალს, რომელიც არის თუ არა, ასეთი საფუძველს იყენებენ მხოლოდ ფასის ზრდისთვის.

**— წინა წლების გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ ტურისტული სეზონი არის იმის მიზეზი, რომ საწვავის ფასმა მოიმატოს?**

– არანაირი საფუძველი იმისა, რომ ტურისტული სეზონი ოდნავადაც მაინც ათამაშებდეს ნავთობპროდუქტებზე ფასს, არ არსებობს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არც ერთი სამანქანო ტურიზმი საქართველოში განვითარებული არ არის, თანაც ქვეყნის შიგნით მატერიალური მდგომარეობა ისეთია, რომ დიდი გამოხმაურება ამ ზაფხულის სეზონს მასიურად ვერ ექნება. თუ მეზობელი ქვეყნებიდან ველოდებით ტურისტებს, მათ შორის სამანქანო ტურიზმისა, მაშინაც ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს ეს ფაქტი ასეთი შესამჩნევი და მიზეზი საწვავის ფასის მომატებისა? ტურისტულ სეზონსა და ფასების მატებას შორის პირდაპირი კორელაცია არ არსებობს.


**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აკრძალავენ თუ არა ძველ ავტომანქანებს



საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს 2005 წელს ქვემოთ გამოშვებულ ავტომანქანებს აკრძალავენ, უარყოფს.

„განვმარტავთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. არც აზერბაიჯანში და არც სხვა რომელიმე ქვეყანაში არ აკრძალულა 2005 წელზე ადრე გამოშვებული ავტომობილების ექსპლუატაცია, აიკრძალა მხოლოდ ასეთი (ევრო 4-ზე ნაკლები ეკოლოგიური ნორმების) ავტომობილების იმპორტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროპასთან ასოცირების შეთანხმებაში არსად არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეზღუდვები და აკრძალვები“, – აცხადებენ უწყებაში.

მათივე ცნობით, ამ ეტაპზე საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ღონისძიებების განხორციელება არ იგეგმება და არც ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ნიშნავს ავტომატურად „ევრო-4“-ზე ნაკლები ეკოლოგიური სტანდარტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტის ან ექსპლუატაციის აკრძალვას. ევროპასთან ასოცირების შეთანხმება ავტომობილების ეკოლოგიურობას ითვალისწინებს. შეთანხმებით გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტესტირების განხორციელება ევროპული დირექტივის (**Directive No2009/40/EC**) მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში ავტობუსებისა და სატვირთო მანქანებისთვის და შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

დირექტივის მოთხოვნები ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ პარამეტრებს და ამ პარამეტრების ტესტირების მეთოდებს. ამ მოთხოვნებით ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, მიუხედავად მისი გამოშვების თარიღისა“, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში. *(კვირა. გე)*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით სერგეენკო განმარტებას აკეთებს



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო „კეტოკონაზოლის“ შემცველი წამლების რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

„მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბოლო რეკომენდაციით, გვერდითი მოვლენების რაოდენობამ გაასწრო იმ სავარაუდო სიკეთეს, რაც შეიძლება ამ მედიკამენტებს მოეტანა. შესაბამისად, ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ამოეღოთ ხმარებიდან“.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ცნობით, სამსახურის უფროსის 17 ივნისის №02-828/ო ბრძანებით, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვებული, ანტიმიკოზური აქტიური ნივთიერება „კეტოკონაზოლის“ შემცველი ფარმაცევტული პროდუქტების რეგისტრაცია უკვე გაუქმდა. გადაწყვეტილება ევროპის წამლის სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზეა მიღებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრაცია გაუუქმდა შემდეგ მედიკამენტებს: 1. **KETOCONAZOL** 200მგ ტაბლეტი №10, მწარმოებელი „**GM Pharmaceuticals Ltd**“ – საქართველო, რეგისტრაციის ნომერი: 002876, რეგისტრაციის თარიღი: 22.07.2010;

2. **KETOCONAZOLE** 200მგ ტაბლეტი №250, მწარმოებელი „**the Government Pharmaceutical Organization**“ – ტაილანდი, სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი და რეგისტრაციის უფლების მქონე სუბიექტი „**The Government Pharmaceutical Organization**“ – ტაილანდი, რეგისტრაციის ნომერი: 005479, რეგისტრაციის თარიღი: 11.06.2011;

3. **KETRID** 200მგ ტაბლეტი №30, მწარმოებელი „**PHARMIMPEXI LTD**“ – საქართველო სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი „**PHARMIMPEXI LTD**“, რეგისტრაციის ნომერი: 008400, რეგისტრაციის თარიღი: 12.07.2012;

4. **KETOCONAZOLE** 200მგ, 200მგ ტაბლეტი №100 (10X10), მწარმოებელი „**Micro Labs Limited**“ – ინდოეთი, სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი „**IDA Foundation**“ – ნიდერლანდები, რეგისტრაციის ნომერი: **Nr-006936**, რეგისტრაციის თარიღი: 16.01.2012.

„გატარებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოებისა და გვერდითი მოვლენების მონიტორინგი პოსტრეგისტრაციულ პერიოდში ხორციელდება პერმანენტულად და რისკი/სარგებლის დადებითი ბალანსის დარღვევის შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რაც მოსახლეობის უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტებით უზრუნველყოფის გარანტიაა“, – განმარტავენ სააგენტოში. (ინტერპრესნიუსი)



## „თუ ხელისუფლება საზოგადოების იგნორირებას გააგრძელებს, ხალხს აქციებზე ვიხილავთ“

ექსპერტ კახა კახიშვილის განცხადებით, „აქციები 2015 და 2016 წლებშია მოსალოდნელი, როდესაც არჩევნები არ იქნება; საზოგადოებაში გაჩნდება განცდა, რომ ვერ გააპროტესტებს რაღაც კონკრეტულ გადაწყვეტილებას ან არსებულ მდგომარეობას არჩევნების გზით. თუ ხელისუფლება გააგრძელებს საზოგადოების იგნორს, ალბათობა, რომ საზოგადოების ნაწილი აქციებზე ვიხილოთ, არის დიდი“, – აღნიშნა კახიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

დენთის სუნი ტრიალებს ჰაერში... აკრძალული პოლიტიკური თამაშები, სავალალო შედეგებით დასრულდება. 19 მაისის მოვლენებმა, დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება მძიმე შედეგები შუკელის „შეტრუსული გოჭი“, ბაქოს აეროპორტში, ელექტრონული შოკის ხელსაწყოებითა და ნახევარი მილიონი დოლარით ხელში დააკავეს.

„ალიამ“ მყისიერად დაიწყო საკ-შვილის დაკავების შესახებ ტყუილი იყო. ამ ყველაფერს ნაციონალების ჯამბაზის, გოგა ხაჩიძის „ფეისბუკური“ სტატუსები მიჰყვებოდა ლაიტმოტივად, „ცრუ განგაშს ჰქონდა ვინც აზერბაიჯანში ნამყოფია, ეცოდინება, რომ ფულით ყველა საქმეს აკეთებ და დიდი ფულით თავისუფლებასაც ყიდულობ და მათ ეს საქმე ჩაფარცხესო... დღის მან-ტატებს ჰქონდათ არადეკლარირებული შავი ფული, რომელიც შემოჰქონდათ საქართველოში და აზერბაიჯანელი მესაზღვრეები მოისყიდეს, ეს უფრო დიდი დანაშაულია და თუკი

# ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ალიევს სააკაშვილის თხოვნით გაუშვია...





ადგილი“.

„ალია“ აზერბაიჯანში საქართველოს კონსულს, ნიკოლოზ გოგიტიძეს იმ დროს დაუკავშირდა, როცა ის ალიევის სახელობის აეროპორტში მიდიოდა ინფორმაციის გადასამოწმებლად. გვთხოვა, რომ ნახევარ საათში დავკავშირებოდით, თუმცა რამდენიმესაათიანი მცდელობის მიუხედავად, მასთან კონტაქტი აღარ შედგა. აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის პასუხიც იგივე იყო, რომ მოგვიანებით გვიპასუხებდა კითხვებზე, თუმცა მოგვიანებით მან უკვე ტელეფონი გამორთო. „ალიას“ აინტერესებდა, ვინ შეატყობინა საქართველოს საელჩოს ეს სკანდალური ინფორმაცია. ჩვენ მოვისმინეთ ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის ოფიციალური კომენტარი, რომ „ნაციონალი“ დეპუტატები აზერბაიჯანის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე კი არ დააკავეს, არამედ გააჩერეს, რადგან მათ აღმოაჩნდათ არადეკლარირებული დიდი ოდენობის თანხა, საუბარია მილიონ დოლარზე. ელჩმა არ დაადასტურა ინფორმაცია, რომ მათ გადმოჰქონდათ ელექტროშოკები. ჩნდება ლოგიკური კითხვები, საქართველოს ელჩსა და კონსულს, ოფიციალურ დონეზე, ვინ შეატყობინა, რომ დეპუტატებს აღმოაჩნდათ დიდძალი არადეკლარირებული თანხა? „კურიერს“ აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია არ დაუდასტურა, მაგრამ რამდენად სანდოა ეს? შსს-ს თანამშრომელმა ვინაობა არ გაამხილა და ნებისმიერ ადამიანს შეეძლო იგივეს გამეორება, რაც მან თქვა.

ჩნდება ძალიან ბევრი ეჭვი და კითხვა. სანდო წყაროს ინფორმაციით, ჯაფარიძესა და ნადირაშვილს არადეკლარირებული ფული ნამდვილად გადმოჰქონდათ და ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ, მათ საქმეში გავლენიანი ადამიანები ჩართეს.

მოუტანოს ქვეყანას და რა იყო ეს დღე? „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისში „ოცნების“ მერობის კანდიდატის დედის, ქალბატონ ნორა ნარმანიას სკანდალური ვიდეო ატვირთა სოციალურ ქსელში, სადაც კომისიის წევრის სტატუსით ნარმანიას დედა ამოწმებდა ბიულეტენებს, თუ ვის აძლევდა ხმას სოფელ კოკის მოსახლეობა და მხოლოდ ამის შემდეგ საკუთარი ხელით ყრიდა საარჩევნო ურნაში ბიულეტენებს. ქალბატონო ნორა, ჩვენ ვებრძოდით ბოროტ, ხურუშიან ძალას, არავითარი სურვილი არ გვაქვს, იგივე ხურუშით გააგრძელოთ ძალადობა. უმრავლესობის დეპუტატი გია ვოლსკი აცხადებს, რომ ვისი დედაც არ უნდა იყოს ის, რაც კადრებში ვნახეთ, ეს არის დანაშაული. თუმცა ჯერ ეს კადრები არ ჰქონდა ათვისებული მოსახლეობას, რომ დღის უფრო დრამატული გაგრძელება ვიხილეთ. დაახლოებით საღამოს 6 საათისთვის სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები ირმა ნადირაშვილი, მეტსახელად „ნურსა“, და ზურაბ ჯაფარიძე, პოეტ რეზო ამაშუკელის ...

ითხის მოკვლევა, დავუკავშირდით პარლამენტის აპარატის უფროსს, ზურაბ მარაქველიძეს, კითხვით – უმცირესობის დეპუტატები ბაქოში ხომ არ იმყოფებოდნენ ოფიციალური ვიზიტით? ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, მარაქველიძემ განაცხადა, რომ ისინი იქ პარლამენტიდან ოფიციალური ვიზიტით არ იმყოფებოდნენ. ინფორმაციის გადასამოწმებლად, „ალია“ საგარეო საქმეთა სამინისტროსაც დაუკავშირდა, უწყებამ განაცხადა, რომ ისინი დეტალების დაზუსტების პროცესში იყვნენ. ინფორმაციების მოპოვების პარალელურად, „კურიერის“ საინფორმაციო გამოშვებაში ნადირაშვილმა სატელეფონო კომენტარი გააკეთა, სადაც მან უარყო გავრცელებული ინფორმაცია. უცნაური აქ ისაა, რომ ნადირაშვილი მომენტალურად ჩაერთო „კურიერს“, თუმცა „ალიას“ მცდელობა, ნადირაშვილს დაკავშირებოდა, უშედეგოდ დასრულდა. ირმა ნადირაშვილის პირად მობილურ ტელეფონზე მისმა დედამ უპასუხა და განაცხადა, რომ ირმას ტელეფონი სახლში ჰქონდა დატოვებული და გავრცელებული ინფორმაციები მისი

ძილზე ზურაბ ჯაფარიძე არაადეკვატურ კომენტარებს აკეთებდა. საქართველოში ჩამოფრენამდე ის აცხადებდა, საზღვარზე შეფერხება მართლა მქონდა, იმის გამო, რომ დავაგვიანე, მებაჟეებთან მქონდა რაღაც საუბარი და მომიწია იმ რეისის გამოტოვება, რომლითაც უნდა გამოვფრენილიყავი, ეს იყო და ესო... აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის ინფორმაციით კი, საპარლამენტო უმცირესობის წევრები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე აზერბაიჯანელ მებაჟეებს დაახლოებით სამსაათნახევარი-ოთხი საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული და შიდა მოკვლევის შემდეგ გაათავისუფლეს(?!). მათი გაჩერების მიზეზად ელჩი არადეკლარირებულ თანხას ასახელებს მომდევნო კომენტარშიც: „იმიტომ იყვნენ გაჩერებულები, რომ ჰქონდათ არადეკლარირებული დიდი რაოდენობით თანხა. ჩატარდა მოკვლევა და აზერბაიჯანული კანონმდებლობის შესაბამისად, გაათავისუფლეს“... თუკი „ნაციონალ“ დეპუ-

ეს ინფორმაცია ბოლომდე დადასტურებული და გამყარებული არ იქნება ფაქტებით, ეს ნიშნავს თუ არა, რომ საქართველოს რეალურად არ ჰყავს საგარეო დაზვერვა, ნიშნავს თუ არა, რომ აქ ადგილი აქვს აკრძალულ თამაშებს, რაც ქვეყანას ძირად დაუჯდება?

თუკი „ქართული ოცნების“ განცხადებით ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული, რომ აქ იმაზე მეტი ხდება, ვიდრე ამის ხმამაღლა თქმას საჭიროდ თვლიან. განცხადებაში ვკითხულობთ: „სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ ყალიბდება დესტრუქციულ ძალად, რომელიც პირადი მიზნების მისაღწევად ყველაფერზეა წამსვლელი, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ფაქტის უარყოფის მიუხედავად, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე ადასტურებს ბაქოში, საბაჟო ტერმინალზე დეპუტატების მიერ არადეკლარირებული

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატი თბილისში გაიმართება

ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატი 21-22 ივნისს თბილისში გაიმართება. მძლეოსნობის ფედერაციის ცნობით, ჩემპიონატი დინამო არენასა და დიღომში მძლეოსნობის ახალ სტადიონზე გაიმართება. დასწრება თავისუფალია.

მონაწილე ქვეყნებია 1. ალბანეთი; 2. ანდორა; 3. სომხეთი; 4. აზერბაიჯანი; 5. ბოსნია-ჰერცოგოვინა; 6. კვიპროსი; 7. საქართველო; 8. ისლანდია; 9. ისრაელი; 10. ლუქსემბურგი; 11. მოლდოვა; 12. მაკედონია; 13. მალტა; 14. მონტენეგრო; 15. ევროპის პატარა ქვეყნების მძლეოსნობის ასოციაცია (სანმარინო, გიბრალტარი, ლიხტენშტეინი) სპორტსმენთა რაოდენობაა – 508.

ჩემპიონატი მოიცავს სხვადასხვა დისტანციაზე რბენას, ხტომას (ჭოკით ხტომა, სამმაგი ხტომა, სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა), ტყორცნებს (ურო, ბადრო, შუბი) და ბირთვის კვრას.

2013 წლის 11 ოქტომბერს ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის კონგრესზე, მიმდინარე ჩემპიონატის ჩატარების უფლება საქართველომ მოიპოვა. (ინტერპრესნიუსი)

## ნორლანდი საარჩევნო პროცესის თვალყურის დევნებას აგრძელებს



აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ის შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს და ვარაუდობს, რომ მეორე ტურამდე სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთანაც გამართავს შეხვედრას.

„არჩევნების შემდეგ მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი პრემიერ-მინისტრს, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ბატონ ბაქრაძეს. ველოდები, რომ სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთანაც მექნება შეხვედრა, რადგან, როგორც ცნობილია, რამდენიმე რაიონში ივლისში იქნება მეორე ტური. ჩვენ ვაგრძელებთ დიდი ინტერესით საარჩევნო პროცესისთვის თვალყურის დევნებას“, – განაცხადა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნინო ბურჯანაძის კოალიციას ასობით საჩივარი აქვს შეტანილი

დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო

კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერის, თამარ ცინცაბაძის განცხადებით, კოალიციას საარჩევნო ხმების დასაცავად მთელი საქართველოს მასშტაბით ასობით საჩივარი აქვს შეტანილი.

„ჩვენ ძალიან ბევრ უბანსა და ოლქში გვაქვს შეტანილი საჩივრები, მაგრამ ვერ ვიღებთ ობიექტურ დასკვნებს, რამაც გვაიძულა, რომ უკვე სასამართლოს მივმართოთ და შევიტანოთ სარჩელი. მართალია, არ გვაქვს იმედი, რომ კუბლაშვილის სასამართლო ობიექტურ განაჩენს გამოიტანს, მაგრამ ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მიღებული ხმები დავიცვათ“, – აღნიშნა ცინცაბაძემ.

მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზე, როდესაც გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად უბნებზე მხოლოდ ერთი ან ორი ხმა იყო გადამწყვეტი. „ასეთი სიტუაცია გვაქვს წალვერში, ვანში, ტყიბულში და კიდევ რამდენიმე უბანზე, სადაც სულ ერთი ხმა იყო გადამწყვეტი. ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ იქ, სადაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, მოხდეს ბიულეტენების ხელახალი გადათვლა, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ არჩევნები სხვადასხვა უბანზე გაყალბდა, ჩვენ მოვითხოვთ, დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, ვინც ამ გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა. ასევე, იცით, რომ ძალიან ბევრ ადგილას არის დანიშნული მეორე ტური და მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, ამჯერად მაინც უზრუნველყონ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები“, – დასძინა ცინცაბაძემ. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

თანხის გადმოტანის მცდელობის ფაქტს, საუბარია მილიონამდე აშშ დოლარზე. სამწუხაროა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შავი ფულით და უკანონო მეთოდებით ბრძოლას არ იშლის და არალეგალური გზებით ცდილობს საკუთარი მიზნების მიღწევას. საქართველოს პარლამენტის დეპუტატების ამგვარი ქმედება აზარალებს არა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ პროცესს, არამედ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსაც“. როცა ასეთი ტიპის დანაშაული ხდება, ქვეყნის იმიჯის დაზარალებაზე საუბარი კი არა, მათ დასჯაზე უნდა იყოს ლაპარაკი. მოქმედების დროა, ბატონებო, სანამ კარგად ორგანიზებულ რევოლუციას არ მიიღებთ ნიღაბაფარებული „ნაციონალებისგან“.

ამ ინფორმაციას წინ უძღოდა „ნაციონალი“ წიკლაურის განცხადება, რომ შემოდგომაზე საპროტესტო ელექტორატი ქუჩაში გამოვა და აქციებს „ნაციონალებიც“ შეუერთდებიან. დიდი ეჭვია, რომ „ნაცები“ არეულობას ტირაჟირებენ და ხელისუფლება მაშინ ხარ მაგარი, როცა ძირშივე მოუკლავ ამ დამნაშავე ძალას ამაზე ოცნებას, მაშინ ხარ მაგარი, როცა გაფაქტავ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას შეაჩერებ, როცა ყველას საკადრის პასუხს გასცემ არა სიტყვებით, არამედ ქმედებით. „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ უჭირს დემოკრატიულ, ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოსთან შეგუება, ამის განცხადებით დეკლარირება ჩვენ არ გვჭირდება, მომხდარს კი საზოგადოების მხრიდან კი არ უნდა მოჰყვეს ადეკვატური შეფასება, არამედ სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ ამ ინფორმაციით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. გამოიძიონ, საიდან, რისთვის, შემოდიოდა ეს შავი ფული.

„ალია“ დღის მანძილზე არკვევდა დეტალებს. ჩვენ დავუკავშირდით ბაქოს აეროპორტს, უსაფრთხოების სამსახურს, სადაც განგვიცხადეს, რომ მომხდარზე ინფორმაცია რომც ჰქონდეთ, უფლება არ აქვთ, ოფიციალური კომენტარი გააკეთონ.

მოგვიანებით აზერბაიჯანულ საიტებზე გავრცელდა აზერბაიჯანის აეროპორტის საბაჟო სამსახურის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ქართველი დეპუტატები გლობალური იმუნიტეტით სარგებლობენ, მათ აქვთ დიპლომატიური პასპორტები და დაკავებული ვერ იქნებიანო.



„აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს მისმა ყოფილმა კოლეგამ, მიხეილ სააკაშვილმა ტელეფონით დაურეკა და დახმარება სთხოვა, სწორედ ალიევის ჩარევით ჩაიფარცხა ეს სკანდალი, ბაქოს შსს-მ ინფორმაცია უარყო და ორი ნაცპოლიტიკური კრიმინალი უვნებელი დააბრუნეს ქვეყანაში“

რა შემთხვევაში ხდება ქართველი დეპუტატების დაკავება და მათი გაჩხრეკა, ამასთან დაკავშირებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე აცხადებს: „უცხო ქვეყნის ხელისუფლებას ქართველი დეპუტატების დაკავების უფლება აქვს. პარლამენტის წევრებს მხოლოდ დიპლომატიური პასპორტი აქვთ და დევნისგან იმუნიტეტით არ სარგებლობენ. ამიტომ შესაძლებელია და უფლება აქვთ, კანონის დარღვევების შემთხვევაში დააკავონ პარლამენტის წევრი“.

ირმა ნადირაშვილმა დაიმუქრა, რომ აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე იტყუება და ამისთვის პასუხი აუცილებლად მოეთხოვება. „ნაციონალი“ დეპუტატები ბაქოში მხოლოდ აზერბაიჯანელ კოლეგებთან სასაუბროდ რომ არ იქნებოდნენ ჩასულები და აქ რომ ბევრი რამაა საეჭვო, ეს ფაქტია, „ნაცებისგან“ ანტისახელმწიფოებრივი და კრიმინალური ქმედება კი არაა გასაკვირი, ის უნდა გაგიკვირდეს, როცა დაინახავ, რომ რაღაცაში მართლები არიან. „ალიას“ ინფორმაციით, ბაქოში საქართველოს ელჩი, ალბათ, დღეს გააკეთებს კომენტარს, რატომ გაგრძელდა შიდა მოკვლევა დაახლოებით ოთხი საათი, რის შემდეგაც „ნაცები“ გაუშვეს. საინტერესოა, თუ ჰქონდათ არადეკლარირებული დიდი რაოდენობით თანხა, სად არის ეს დოკუმენტურად დაფიქსირებული? ჩატარებული მოკვლევით რა დგინდება?

„მთავარი მოვლენა ამ სკანდალში არის ის, რომ საქართველოში „ნაციონალებს“ მილიონი დოლარი „შავი ფული“ შემოჰქონდათ, საქართველოში 30 000 ლარზე ზევით არადეკლარირებული ფულის შემოტანა ითვალისწინებს ჯარიმებსა და ფულის კონფისკაციას, და დეპუტატის შემოწმების უფლება გაქვს, თუკი ეჭვი ჩნდება. გამოსაკვლევია ამ ფულის წარმომავლობა და რისთვის შემოჰქონდათ ის, თუკი ასეთი ფაქტი ნამდვილად იყო“. – აცხადებს „ალიასთან“ საუბარში იურისტი კახა კახიშვილი.

ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე დღის ბოლოს, ბაქოს სკანდალის შემდეგ, აზერბაიჯანის დედაქალაქიდან თბილისში, ბაქო-თბილისის რეგულარული რეისით დაბრუნდნენ. ზურაბ ჯაფარიძემ ცინიზმის ზღვარს მიღმა განცხადება გააკეთა, „მებაჟეს, ეტყობა, არ მოვეწონე და გამჩხრიკა, რის გამოც რეისზე დავაგვიანეთ, ქალაქში გავედით და ყავას ვსვამდით, როდესაც გავიგეთ ინფორმაცია საქართველოდან, რომ თურმე, დაგვაპატიმრეს და აღმოგვაჩნდა ელექტროშოკები და ფული. თავიდან ბევრი ვიცინეთ, შემდეგ კომენტარებიც მივეცით მედიასაშუალებებს. ამის შემდეგ გავაკეთეთ ის, რაც გავაკეთეთ მე და გოგა ხაჩიძემ. ვფიქრობდით, რომ გავერთობოდით ცოტა და თბილისში განვახორციელეთ რამდენიმე ზარი. არაფერ კონკრეტულზე არ გვილაპარაკია, მაგრამ შევქმენით ისეთ განცდა, თითქოს მართლა რაღაც მოგვქონდა, ვფიქრობდით, რომ შემდეგ აქ მოგვიწყობდნენ ჩხრეკას და ამაზე გავერთობოდით და კიდევ ერთხელ დავადასტურებდით, რომ გვისმენენ. მაგრამ მოხდა უარესი: როცა აეროპორტში მივედით, რომ გამოფრენილიყავით, იქ დაგვხვდა მთელი საქართველოს საელჩო, ნაცვლად იმისა, რომ მოსულიყვნენ და ეკითხათ, რამე პრობლემა ხომ არ ჰქონდათ ქართველ დეპუტატებს, დაკავებული იყვნენ იმით, რომ მებაჟეებს ეკითხებოდნენ, რამდენი ელექტროშოკი აღმოაჩნდათ ამათო. გარდა ამისა, დადიოდა ბევრი ადამიანი, ვინც სურათებს გვიღებდა, სავარაუდოდ, ქართული სპეცსამსახურებიდან იყო ეს ხალხი. ამის შემდეგ სადღაც ნახევარი საათი გვჩხრეკდნენ. დაიმხვეს თავზე ყველაფერი, რაც კი თან გვქონდა. სადღაც 40 წუთი დააგვიანა ამის გამო თვითმფრინავმა. ეს ხელისუფლება არის ავად, ვერ ხვდებიან, რომ საკუთარი ქვეყნის დეპუტატის რეპუტაციის შელახვა არ არის კარგი საქმე; ვერ ხვდებიან, რომ ამით ზოგადად ქვეყნის რეპუტაცია ილახება. ერთი მილიონი დოლარი რომ მქონოდა, როგორც მინიმუმ, როუმინგს ჩავრთავდი, მაგრამ ტელეფონი არ მქონდა. არადეკლარირებული თანხა რომ გვქონოდა, ამაზე გაგვიშვებდნენ ციხეში“.

თუკი ეს ფაქტი დადასტურდა, დაუსჯელი დარჩება და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, „ნაციონალების“ ღადაობა, ძვირად დაუჯდება ამ ხელისუფლებას და ასევე ქვეყანას. ხაჩიძის, ჯაფარიძის, გაბაშვილის, ნადირაშვილისა და ამ პოლიტიკური კრიმინალების სალადაო რომ გახდები, ქუდი უნდა დაიხურო და არა მხოლოდ ხელისუფლებიდან, ამ ქვეყნიდანაც წახვიდე.

ძალიან საინტერესოა, დღეს ამ სკანდალს რა გაგრძელება ექნება? აზერბაიჯანის სასაზღვრო დეპარტამენტის პრესსამსახურის წარმომადგენელმა როვშან ჩაჰანგიროვმა ქართველი დეპუტატების, ირმა ნადირაშვილისა და ზურაბ ჯაფარიძის ბაქოში დაკავების საკითხთან დაკავშირებით, „მაესტროს ცხრიანში“ სატელეფონო ჩართვისას დაადასტურა, რომ ისინი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტმა დააკავა. ვნახოთ, როგორი დილა გაუთენდებათ „ნაციონალებს“ და რა გაგრძელება ექნება „შავი ფულის“ სკანდალს...

**P.S. მასალა თითქმის დასრულებული გვქონდა, როცა გვიან ღამით ბაქოდან დამატებითი სკანდალური ინფორმაცია მივიღეთ. „ალიას“ ინფორმირებული წყარო გამორიცხავს ვერსიას, რომ დაბალ დონეზე ქრთამის გადახდით მოგვარდა ეს საკითხი. „აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს მისმა ყოფილმა კოლეგამ, მიხეილ სააკაშვილმა ტელეფონით დაურეკა და დახმარება სთხოვა. სწორედ ალიევის ჩარევით ჩაიფარცხა ეს სკანდალი. ბაქოს შსს-მ ინფორმაცია უარყო და ორი ნაცპოლიტიკური კრიმინალი უვნებელი დააბრუნეს ქვეყანაში“. საკითხი, როგორც წყარო ირწმუნება და თუ მისი ინფორმაცია რეალურია, შეიძლება ის ოფიციალურ დონეზეც დადასტურდეს.**

**ყველა კრიმინალური გზა მიხეილ სააკაშვილამდე მიდის, „ნაციონალების“ ფოკუსი საარჩევნო ციკლში გუშინ ფრედ დასრულდა, რა იქნება ხვალ? ხვალ ჰაერში დენთის სუნი გამძაფრდება!**

⋙ ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დავით ნარმანიას დედა ამომრჩეველს მისთვის სასურველი კანდიდატის შემოხაზვას აიძულებდა



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის №97 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი იყო თბილისის მერობის კანდიდატის დავით ნარმანიას დედა, რომელიც ამომრჩეველს მისთვის სასურველი კანდიდატის შემოხაზვას აიძულებდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ვიდეოკადრები წარმოადგინა და როგორც განმარტა, დამკვირვებლების მიერ გადაღებული მასალა სწორედ ამ ფაქტს ასახავს.

„მასალა ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში №97 საარჩევნო უბანზე მიმდინარე საარჩევნო პროცესს ასახავს. სწორედ ამ სოფლიდან არის დავით ნარმანია. აღნიშნულ უბანზე კომისიის წევრად იყო მისი დედა, ქალბატონი ნორა. კადრები, რომელიც დამკვირვებლებმა გადაიღეს, აშკარად აჩვენებს, როგორ ახდენს ის ამომრჩეველზე ზეწოლას და აიძულებს ამომრჩევლებს, მათ ბიულეტენები უჩვენონ, სადაც ქალბატონი ნორასთვის სასურველი ნომერია შემოხაზული“, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კიევში ე.წ. „კანონიერი ქურდი“ „კახა ტბილისსკი“ დააკავეს



ადგილობრივი სამართალდამცავების განცხადებით, „ავტორიტეტი“ შევჩენკოს რაიონში მაშინ დააკავეს, როდესაც ის სხვა ე.წ. ავტორიტეტებთან ერთად იმყოფებოდა და ე.წ. „სხოდკისთვის“ ემზადებოდა, რომლის დროსაც გავლენის სფეროები უნდა გადანაწილებულიყო.

„კახა ტბილისსკიმ“, რომელიც არაერთხელ არის ნასამართლევი, საპატიმრო ბოლოს 2014 წლის იანვარში დატოვა. 11 წლის განმავლობაში სასჯელს ყაჩაღობისთვის ის რუსეთში იხდიდა, მათ შორის 8 წელი სამარტოო საკანში გაატარა. კიეველი სამართალდამცველების ინფორმაციით, „კახა ტბილისსკი“ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული „კანონიერი ქურდია“, რომელსაც რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ბანდფორმირება აქვს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს სჩადიან და თავისი გავლენის სფეროს გაძლიერებას ის უკრაინაშიც გეგმავდა. ამ დროისთვის „კახა თბილისკი“ უკვე დეპორტირებულია უკრაინიდან, რომელსაც ამ ქვეყანაში შესვლის უფლება 5 წლით ჩამოერთვა. (ინტერპრესნიუსი)

## ახალქალაქში საოლქო კომისიის სხდომას კონტრდაზვერვა აკონტროლებდა?

„თავისუფალი საქართველოს“ განცხადებით, ახალქალაქში საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას, სადაც „თავისუფალი საქართველოსა“ და „ახალი მემარჯვენეების“ სარჩელები იხილებოდა, მობილიზირებული იყვნენ კონტრდაზვერვისა და უშიშროების სამსახურები.

როგორც პარტიაში აცხადებენ, ახალქალაქის საარჩევნო კომისიამ 18 ივნისს პირველ სხდომაზე განიხილა 4 სარჩელი და არც ერთი მათგანი არ დააკმაყოფილა, რაც მოსარჩელე მხარის და მათი მხარდამჭერების უკმაყოფილების მიზეზი გახდა. „მოგვიანებით საოლქო კომისია გადაყვანილი იქნა კონტრდაზვერვის სამსახურის ოფისში, შენობა ყვითელი ლენტებით იქნა შემოსაზღვრული და პოლიციის სრული მობილიზება განხორციელდა.

„თავისუფალი საქართველოსა“ და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობს დაძაბული ვითარების შექმნას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, სოსო ჯაჭვლიანი „ალიასთან“ საუბარში სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ის ასახელებს „ქართული ოცნების“ იმ დიდ დანაშაულს, რის გამოც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70-მა პროცენტმა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო და ამით საკუთარ გუნდსაც უპირისპირდება:**

– თავის დროზე, როცა მიშა მოვიდა, თავისი გუნდიც გააერთიანა, ჩაასვრევინა ყველას, ყველა ჩასვრილი იყო და ხალხი ტელეფონზეც ველარ ლაპარაკობდა. აღარაფერს ვამბობ დაწიოკებაზე, ქონების წართმევაზე, წამებასა და მკვლელობებზე. კარგი, ამას დავანებოთ თავი, მოვედით ჩვენ... ახლა ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, მგონია, როგორც ვიქცევით, ხან სჯობია ასე, ხან – არა. „ნაციონალების“ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული დევს ხელისგულზე, მაგრამ ამას სჭირდება დასაბუთება.

**— სოსო, დრო მიდის, 2 წელი გავიდა, რა ველარ დაუსაბუთეთ ამ „ნაციონალებს“, რომლებიც ლამის აქეთ გიპირებენ დაჭერას?**

– დიახ, მესმის... ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან დიდი ტრაგედია გადაიტანა, ბევრმა შვილი დაკარგა, ბევრმა – ქმარი, ოჯახის წევრი და ასე შემდეგ. იყო გაუპატიურებები, მკვლელობები. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს დრო სჭირდება, ასეთი ლოიალობისა უკვე აღარ მჯერა. არ მინდა, ასეთი ლოიალობითა და სულის შებერვით კეთდებოდეს საქმე. ჩვენი მოსახლეობა სწორედ ამაზე ღიზიანდება.

**— როგორ ფიქრობ, არჩევნებში დაბალი აქტივობა სწორედ ამაზე მიანიშნებს?**

– მე გეტყვი, რა რაზე მიანიშნებს: იყო საპარლამენტო არჩევნები, ხალხის ძალას ვერავინ ვერ დაუდგა წინ. აღარ მოვყვები დეტალურად, რა მოხდა, როგორ მოხდა, ეს ყველამ იცის. ჩვენი მთავარი დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა, ამაზე მიდიოდა ლაპარაკი და უკვე ვთქვი, ყველაფერს დასაბუთება სჭირდება-მეთქი, მაგრამ ვერ გამიგია, იმას რა უშლის ხელს, რომ გამოვიდეს ჩვენი ქვეყანა, სახელმწიფო, სამშობლო და გარკვევით თქვას: ვინც სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში დაზარალდა, ყველას დაუბრუნდება ქონება, ყველა დამნაშავე დაისჯება, იმედი გქონდეთ, ცოტა ხანს კიდევ გვაცალეთო. ძალიან ბევრია ფაქტი, როცა წინა ხელისუფლებამ ადამიანებს წაართვა სახლები და დღეს არის სახელმწიფო ბალანსზე, ყველამ იცის, რომ ეს მავანის საკუთრებაა. თუ მე ჩამომართვეს რაღაცა და ამჟამად არ არის გაყიდული, რა გვიშლის ხელს, რომ ეს დაუბრუნდეს მფლობელს?

**— ამას მე იქით უნდა გეკითხებოდე და აქეთ მეკითხები?**

– მაგაზეც გიპასუხებ... ასეთი ქონება არის ათასობით. თუ ამას დავაბრუნებთ, სახელმწიფო საერთოდ არ ზარალდება, ხალხს ხომ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ამოისუნთქოს? ახლა ძალიან ბევრს ლაპარაკობენ კეთილსინდისიერ მყიდველებზე, რა ვქნათ, კაცი მეხუთე პირია, ქონება იყიდა, როგორ ჩამოვართვათო? მე ამათ კეთილსინდისიერ მყიდველებს ვერ დავარქმევ, მაგათ ვეძახი კეთილმოტ...ნულ მყიდველებს. როცა ადამიანმა იცის, რა ქვეყანაში ცხოვრობდა, რა ქვეყანაში ცხოვრობს, საქართველო რომ პატარაა, ვიღაცამ ვიღაცას რომ წაართვა, ამით თავს ვერავინ გაიმართლებს. საქართველოში მოქმედებს მეგობრობის კანონი, ნათესავების კანონი, შეიძლება შენ იურიდიულად კეთილმოტ...ნული იყო, მაგრამ მაინც უნდა დაფიქრდე: ბიჭო, ეს ქონება ხომ მავანისა იყო, მე რომ ვყიდულობ იაფად და ლამის მუქთად ვიგდებ ხელში, შემერგება? ახლა ვთქვათ პირდაპირ, რა მოხდა, ამან გამოიწვია ნიჰილიზმი, ადამიანები არჩევნებზე რომ არ მოვიდნენ. ამ ადამიანებს ერთი მხრივ ვამართლებ, მეორე მხრივ – ვაკრიტიკებ, მე მათი მესმის, მაგრამ თუ არჩევნებზე არ მოხვალ, „ნაციონალებისგან“ როგორ გავწმინდო ეს ქვეყანა? ვინც მე დამდევდა, ვინც მე „დუბინკას“ მირტყამდა, ამ ხალხის ნაწილი ისევ თანამდებობაზე მუშაობს.

**— ალბათ, შენ ნახე ის ჩანაწერი, რომელიც ჩერგოლეიშვილის „ტაბულამ“ გაავრცელა, პოლიციის მთვრალი მაღალჩინოსნები რომ ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს სანაპიროზე, იმას ვგულისხმობ. ჯერ საკითხავია, საიდან გაჩნდა „ტაბულას“ გადამღები ჯგუფი იმ ადგილას, მაგრამ არის თუ არა ეს დადგმული ღალატი? არის თუ არა ეს პირდაპირ თქვენზე დარტყმა? პოლიციის მაიორი იძახის: ყ...ზე მკიდია თქვენი ჭიკაიძეო და იცი, სოსო, ხალხი რას ამბობს? ასეთ რამეს სააკაშვილის დროს ვერც ერთი პოლიციელი ვერ გაბედავდაო.**

– როგორც მე ვიცი, მაგ პოლიციელებს წყალი ჰქონდათ შეყენებული და ჯავრი ამ ფორმით იყარეს. ეს არის ჩერგოლეიშვილის ტელევიზიის მიერ დადგმული ახალი სპექტაკლი. მაგათ იცოდნენ, რომ უკვე ტრაკში იყვნენ და ამიტომაც მოიქცნენ ასე. მოდი, ახლა გულახდილად გეტყვი ერთ რაღაცას, ამაზე რამდენიმე მაღალჩინოსანს უკვე ველაპარაკე და არსად არ მითქვამს: რა არის „ქართული ოცნების“ ყველაზე

# სოსო ჯაჭვლიანი: „მე ახლა ვიტყვი სრულ სიმართლეს...“

## „ოცნების“ დეპუტატი საკუთარ გუნდს უპირისპირდება






**„არსად არ მითქვამს: რა არის „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შეცდომა? ამათ უნდათ, თუ ვინმე რაღაცას წარმოადგენს, თუ ვინმე ცოტა ჭკვიანურს იტყვის, თუ არ აწყობთ, ყველაფერს ისე შეგიტრიალებენ, ან გიჟად გამოგიყვანენ, ან კიდევ დებილად“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართულ ოცნებას“ არ „უჩალიჩია“



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, მარკ მალენის განცხადებით:

„ზოგადად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არც ისე მნიშვნელოვნად ითვლებოდა, იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, ფაქტობრივად, არანაირ ძალაუფლებას არ ფლობდა. ეს დამოკიდებულება თანდათან იცვლება, პირველად ისტორიაში, ადგილობრივ თვითმმართველობებს გარკვეული ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნებათ. ეს არის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი. ეს არჩევნები მორიგი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების გზაზე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ მხრივ არის 50%-იანი ბარიერი.

„წინა არჩევნებზე, ყველა კვლევის მიხედვით, გიგი უგულავას რეიტინგი იყო 32% და მაშინდელმა უმრავლესობამ შეიტანა კანონში ცვლილება და ბარიერი დაწია 30%-მდე. ეს იყო ცინიკური უმრავლესობის მხრიდან. ამასთანავე, მოხდა ისე, რომ უგულავამ უკეთესი კამპანია აწარმოა, ვიდრე ირაკლი ალასანიამ. თუმცა ამ ცვლილებით მას თეორიულად შანსი ჰქონდა, გაემარჯვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო ცუდ კამპანიას აწარმოებდა. ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა საარჩევნო კოდექსი და ბარიერი აწია 50%-მდე და შემდეგ თავად „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვერ გადალახა ეს ბარიერი. თუმცა მათ არ „უჩალიჩიათ“ რომ მისი კანდიდატის 50%-ზე ნაკლები ხმა აეწიათ თუნდაც 51%-მდე, აღიარეს მეორე ტური. ეს არის ხელისუფლების მოწიფულობის ნიშანი, განსხვავებით იმისგან, როდესაც მეორე ტური არ დაუშვეს, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეორე ვადით ირჩევდნენ პრეზიდენტად და მაშინ არსებობდა ეჭვი, რომ მეორე ტური უნდა დანიშნულიყო“, – განაცხადა მალენმა. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ტელეარხი 25“ დიპკორპუსს ღია წერილით მიმართავს




ტელეკომპანია „ტელეარხი 25“-ის გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი გიორგი სურმანიძე სამოქალაქო სექტორსა და დიპლომატიურ კორპუსს ღია წერილით მიმართავს.

„საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ბოლო თვეების განმავლობაში „ტელეარხი 25“-ის ჟურნალისტების მიმართ სხვადასხვა ფორმით გამოხატული აგრესიისა და შეურაცხყოფის ფაქტები, რაც ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის ჟურნალისტური გამოძიების ეთერში გასვლას მოჰყვა. თავს არ შეგაწყენთ მედეა ვასაძისა და ჯაბა ანანიძის სატელეფონო საუბრის შინაარსის მოყოლით. მოკლედ შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ჟურნალისტს ღირსების შემლახავი და ცილისმწამებლური ფრაზებით მიმართა და მას ანგარიშსწორებით დაემუქრა, ორიოდე დღეში კი სოციალურ ქსელში საგანგებოდ შექმნილ გვერდზე „ტელეარხი 25“-ის ჟურნალისტების შეურაცხმყოფელი ფოტო და ვიდეომასალა გაჩნდა. იმავე დღეს ამ საკითხის გამოძიების თხოვნით ტელევიზიამ და ჟურნალისტმა პოლიციას მიმართეს. 10 ივნისიდან, ანუ მედეა ვასაძის სატელეფონო ზარიდან დღემდე არ შეწყვეტილა პროტესტი საზოგადოების მხრიდან უმაღლესი საბჭოს მისამართით, მოეწყო ჟურნალისტის მხარდასაჭერი აქციები საქართველოს 5 ქალაქში.

საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი უფლებადამცველი დეპუტატის შეურაცხმყოფელ განცხადებებზე ითხოვდა სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას, თუმცა რეაგირება დღემდე ამ საკითხს არც ერთი უწყებიდან არ მოჰყოლია, უფრო მეტიც, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გიორგი მასალკინმა ტვ 4“-თან და „გაზეთ ბათუმელებთან“ ინტერვიუში ტელეკომპანიის სარედაქციო დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დააყენა, ჯაბა ანანიძის მიერ მომზადებული ფილმის შესახებ კი განაცხადა, რომ მისი გადაღება არხს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუკვეთა. გიორგი მასალკინისა და მედეა ვასაძის მხრიდან არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ტელევიზიის მფლობელებისთვის ერთ ლარად გადაცემული ქონების გამო, ტელევიზიაში სარედაქციო პოლიტიკას არა ჟურნალისტები, არამედ პოლიტიკური ძალები განსაზღვრავენ.

შეგახსენებთ, რომ ტელევიზიის დამფუძნებლებისთვის ერთ ლარად გადაცემული ქონების შესახებ გამოძიება დიდი ხანია მიმდინარეობს და სხვებზე მეტად ამ საქმის დასრულება მე მაინტერესებს, რადგან სახელფასო ანგარიშების ჩათვლით მთლიან ქონებას ყადაღა ადევს. გამოძიების მსვლელობისას პროკურატურა ერთხელ უკვე შეეცადა, ზეწოლის გზით მიეღო ჩემგან სასურველი ჩვენება, რაც ვერ მოახერხა. ყადაღის მოხსნის მოთხოვნით ჩვენი საჩივარი საქართველოს მართლმსაჯულების ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში შევიდა.

სახელმწიფოს მხრიდან ამ თემით არაერთგზის მანიპულირების გამო, ვფიქრობ, რომ „ტელეარხი 25“-ის ჟურნალისტების მიმართ დაწყებული აგრესია და ბოლოდროინდელი კომენტარები ტელეკომპანიაზე ტოტალური ზეწოლის ნაწილია. მედეა ვასაძემ ცილისწამების ახალი ფაქტები უკვე საჯაროდ დააფიქსირა და ახლა უკვე სხვა ჟურნალისტის პირადი ცხოვრების დეტალების გამომზეურებით დაგვემუქრა, პარალელურად ზემოხსენებულ ვებგვერდზე გაჩნდა ახალი შეურაცხმყოფელი მასალები. ამ ყველაფრის რეაგირების გარეშე დატოვება გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფოს ამ საქმის გამოძიების, პოლიტიკურ გუნდს კი გადაწყვეტილების მიღების ნება არ გააჩნია. გთხოვთ, დაინტერესდეთ ამ ფაქტებით და შეაფასოთ ის თქვენი კომპეტენციის ფარგლებში“, – ნათქვამია წერილში. (ნიუსპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

დიდი შეცდომა? ამათ უნდათ, თუ ვინმე რაღაცას წარმოადგენს, თუ ვინმე ცოტა ჭკვიანურს იტყვის, თუ არ აწყობთ, ყველაფერს ისე შეგიტრიალებენ, ან გიჟად გამოგიყვანენ, ან კიდევ დებილად. მე ახლა ვიტყვი სრულ სიმართლეს, ვიტყვი, რაც არის „ქართული ოცნების“ დანაშაული და ყველა მიხვდება, რაშიც არის საქმე. როდესაც თენგიზ აბულაძე „ნატვრის ხეში“ მიღებდა, მე და ლიკას მოგვიტრიალდებოდა ხოლმე და გვეუბნებოდა: სოსო, აბა, გააკეთე ესა და ეს სცენა ისე, როგორც ამას გააკეთებ-



**„სად იყო საზოგადოება მაშინ, როცა ზურაბ ქარუმიძემ სიზმარში ნახა, როგორ ჩინჩლავდნენ კაცები ერთმანეთს ღვთისმშობლის ეკლესიაში და ამაზე რომანი დაწერა. როცა ეს ადამიანი სიზმრიდან გამოვიდა, მაინც თავს იმართლებდა, ეს შედევრია და ელჩობაც მინდაო“**

და ნამდვილი სოსო. ლიკა, აბა, გააკეთე ესა და ეს სცენა ისე, როგორც ამას გააკეთებდა რეალურ ცხოვრებაში ლიკა. ამ ყველაფერს უყურებდნენ ქართული კინოს კორიფეები – სესილია თაყაიშვილი, კოტე დაუშვილი, ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, კახი კავსაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი და სხვები. როცა რომელიმე ეპიზოდს ჩემებურად ვითამაშებდი, მიტრიალდებოდა თენგიზ აბულაძე მათკენ და ეტყოდა: ხომ გეუბნებოდით, სოსო გენიოსია-მეთქი? მე ამ დროს ისეთი გახარებული ვიყავი, ისე მიყვარდა ყველა, ისე კარგად ვგრძნობდი თავს გუნდში, ენით ვერ აღვწერ. ამ დროს აბულაძე იწყებდა, – სოსო, მოდი ასე კი არა, ისე გავაკეთოთ, მე მგონი, სხვანაირად ჯობიაო, ბოლოს აღარაფერი რჩებოდა ჩვენი, მაგრამ გენიოსები ხომ ვიყავით? გუნდში ხომ გვათამაშებდა და გვაძლევდა ჩვენს ადგილს? ის გვეუბნებოდა, ჩვენ ერთად უნდა ვისწავლოთ და ერთად გავაკეთოთ გენიალური „ნატვრის ხეო“. ახლა აქ, ჩვენთან, ჩვენს გუნდში რა ხდება?

**— ვხვდები, საითაც მიგყავს საუბარი.**

– რასაც თენგიზ აბულაძე აკეთებდა, ეს არის ნიჭი, ეს არის ინტელექტი და მე ვეუბნები „ოცნებას“: რანაირი პოლიტტექნოლოგიებიც არ უნდა ისწავლოთ, 70 ათასი წიგნიც რომ გადაიკითხოთ, ამას თქვენ ვერასოდეს ვერ ისწავლით. ამას ნიჭი უნდა, ინტელექტი უნდა, ამას ადამიანობა უნდა, ამას ქვეყნის სიყვარული უნდა, ამას ადამიანის სიყვარული უნდა, ამას ბოროტება არ უნდა! ჩვენ გვჭირდება ისეთი გუნდი, რომელიც ღვარცოფივით გადაანგრევს ყველაფერს და აღადგენს სამართლიანობას!

**— სოსო, შენ ახლა უპირისპირდები „ქართულ ოცნებას“, სადაც, შენივე თქმით, არ არის ერთიანობა და არ მიდის თამაში გუნდური პრინციპით.**

– მე ყველაფერი გითხარი... ამას ვერ ვუწოდებ გუნდს. ნება იბოძონ და წესიერად შეარჩიონ კადრები, წესიერად მოექცნენ ერთმანეთს, ხალხს მიაქციე ყურადღება და 100 კაციდან მხოლოდ 20 არ მოგივა არჩევნებზე. ჩვენთან ცალ-ცალკე ყველა მაგარია, მაგრამ ის, რაც მე გითხარი და რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობს, ამის ნაკლებობაა. ორად ორი ადამიანია, ვისიც მე მჯერა.

**— ვისი გჯერა?**

– ესენი არიან ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. მხოლოდ ესენი გელაპარაკებიან თავისუფლად, გისმენენ და იზიარებენ შენს ნათქვამს, მაგრამ ირგვლივ იმდენი ვიღაცები ტრიალებენ და ფუთფუთებენ, ყველაფერს ძალიან მაგარი დაფიქრება უნდა. ამ არჩევნების შემდეგ ჩვენ ხალხს უნდა მივცეთ ძალიან დიდი მუხტი, სხვანაირად არაფერი არ გამოვა. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ მოვა სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, ეს მაინც არის ინერციული გამარჯვება. ინერცია ოდესღაც ჩერდება და როცა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხარ მყარად, ის არ ჩერდება. ყველას უნდა ვუთხრათ სიმართლე, ნებისმიერ ადამიანს... როდესაც მე, სოსო ჯაჭვლიანი ვსვამ კითხვას, უნდა მიპასუხონ. მეც ისეთივე ვარ, როგორიც თითოეული თქვენგანი. თუნდაც იმაზე ვიტყვი, ერთი ამბავი რომ ატეხეს ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, ამ კანონის მიღებამდე, ორი დღით ადრე, საბურთალოზე 15 წლის ბიჭი სამმა ერაყელმა რომ იხმარა და ჩვენმა ტელევიზიებმა გადასცეს, სად იყო მაშინ ჩვენი საზოგადოება? სამ დღეში ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიგველო... აბა, გამოსულიყო 200 ათასი კაცი და პასუხი მოეთხოვა იმ 3 ერაყელისთვის. მერე აღმოჩნდა, თურმე ესენი აგენტებიც ყოფილან. გელა, გეკითხები, სად იყო საზოგადოება? მე თავს არ ვიმართლებ, სად იყო საზოგადოება მაშინ, როცა ზურაბ ქარუმიძემ სიზმარში ნახა, როგორ ჩინჩლავდნენ კაცები ერთმანეთს ღვთისმშობლის ეკლესიაში და ამაზე რომანი დაწერა. როცა ეს ადამიანი სიზმრიდან გამოვიდა, მაინც თავს იმართლებდა, ეს შედევრია და ელჩობაც მინდაო. მაშინ მე ავტეხე ამბავი, მაგრამ ძალიან ბევრი ტალახი დამასხეს თავზე. გეგონება, მარტო სოსო ჯაჭვლიანისა იყო ის ღვთისმშობლის ეკლესია. მაშინ სად იყო საზოგადოება? ან მაშინ სად იყო საზოგადოება, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვიღებდით, დილიდან პარლამენტის შენობასთან შეიკრიბა სამღვდელოება, დაწვეს სააკაშვილის სურათი, შევარდნაძის სურათი, ბიძინა ივანიშვილის სურათი, შემოვიყვანეთ მღვდლები, ვისაუბრეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, ყველაფერი გავარკვიეთ, როგორც საჭირო იყო. გავიდნენ გარეთ და გეგონება, ატომური ბომბი ესროლესო, ისე დაიშალა ყველა. თუ ასე ძალიან განიცდიდნენ, ერთი საათიც მოეთმინათ!



**„მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილი გელაპარაკებიან თავისუფლად, გისმენენ და იზიარებენ შენს ნათქვამს, მაგრამ ირგვლივ იმდენი ვიღაცები ტრიალებენ და ფუთფუთებენ, ყველაფერს ძალიან მაგარი დაფიქრება უნდა“**

**— ერთი საათიც რომ მოეთმინათ, რა მოხდებოდა, აღარ მიიღებდით?**

– ერთი საათი მოეთმინათ, 104 ადამიანი იყო მომხრე, ერთი მე აღმოვჩნდი წინააღმდეგი.

**— შენ წინააღმდეგ მიეცი ხმა? მე მახსოვს, რომ მერე გამოხვედი და თქვი, ეს ტექნიკური შეცდომა იყოო.**

– საბუთში წერია, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი. ერთმა მეუფემ მითხრა, თუ ქვეყანას ასე სჭირდება, მაშინ ხმა მიეციო. მე თავს არ ვიმართლებ, მე ყველაზე საზიზღარი ვარ, მაგრამ დოკუმენტში წერია, რომ წინააღმდეგი გამოვედი, რაც ზეპირსიტყვიერად ვთქვი, დარჩა ჰაერში.

**— სოსო, სინამდვილეში რა მოხდა, ხმა მიეცი თუ არა?**

– ფაქტობრივად, არ მიმიცია. ვინც ხმა მისცა, ისინი ჩემი მეგობრები არიან, პატივს ვცემ, მათ საყურადღებოდ ვთქვი, თუ ქვეყანას ასე სჭირდება, მაშინ ტექნიკა გაფუჭდა და ხმას ზეპირსიტყვიერად გაძლევთ-მეთქი.

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ქუთაისში ლიმონათის ჩამოსასხმელი საამქრო დაიხურა

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებმა ქუთაისში, გუგუნავას ქუჩაზე ი/მ „ანა ზახაროვას“ ლიმონათის ჩამოსასხმელ საამქროში კრიტიკული შეუსაბამობები აღმოაჩინეს.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საწარმოს დახურვის საფუძველი გახდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტექნოლოგიური პროცესის ნაკადურობის დარღვევა, გაუმართავი სავენტილაციო სისტემა, აღჭურვილობებისა და მოწყობილობების გამოყენება დეზინფექციის გარეშე და სხვა დარღვევები.

გარდა ამისა, ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, რომ ლიმონათის ერთ ნიმუშში, კერძოდ, ლიმონათი „ბამბო“ ფეიხოას მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება. ლიმონათის ჩამოსასხმელი საამქრო დაიხურა და 1000 ლარით დაჯარიმდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებმა კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერეს და 1000 ლარით დააჯარიმეს ჩოხატაურში მდებარე ი/მ „ივანე კალანდაძის“ სურსათის სარეალიზაციო ობიექტი, რომელიც ჩოხატაურის საბავშვო ბაღებს ხორცით, ბოსტნეულითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით ამარაგებდა.

მიმდინარე წელს ინსპექტორთა რაოდენობის გაზრდით სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიეცა საშუალება, წინა წელთან შედარებით, 300%-ით გაზარდოს ინსპექტირების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფას. (ნიუსპოსტი)

## თავდაცვის სამინისტრო „Су-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების გაყიდვას გეგმავს



თავდაცვის სამინისტროს განცხადებით: „შეიარაღებული ძალების საავიაციო პარკი საჭიროებს განახლებას. მათ შორის არის ხუთი ერთეული „Су-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, რომელთა გაყიდვაც იგეგმება, რადგან ისინი ამორტიზებულია და გარემონტებას არ ექვემდებარება. რამდენიმე წელია, მათი ექსპლუატაცია სიძველის გამო ვერ ხერხდება. „Су-25“-ის გაყიდვის საკითხი დღის წესრიგში დგას. თუმცა, ზუსტი დრო განსაზღვრული არ არის. მოიერიშეების გაყიდვით მიღებული თანხები მოხმარდება საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას. თავდაცვის სამინისტროს ამოცანაა, საქართველოს ჰქონდეს თანამედროვე შეიარაღება და საავიაციო პარკის განახლებაც ამ მიზანს ემსახურება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნარმანია მადლობას იხდის



„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია საკუთარ ამომრჩეველს მადლობას უხდის.

„თბილისელებო, მოგესალმებით! პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ყველას, განურჩევლად პოლიტიკური პოზიციისა, ვინც საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და ვისაც კარგად ესმის, რომ არჩევნებში მონაწილეობით, პირველ რიგში, ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის წარმატებულ მომავალს, დემოკრატიული განვითარების გზას.

15 ივნისის არჩევნები ისტორიაში არა მხოლოდ იმიტომ შევა, რომ საქართველოში შედგა უპრეცედენტოდ თავისუფალი თვითმმართველობის არჩევნები, არამედ იმიტომაც, რომ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, საკუთარ თავს დაუწესა განსაკუთრებულად მაღალი ბარიერი. მიუხედავად ამისა, არავის გუნდში არ გასჩენია ცდუნება, რომ ხელი ეფათურებინა საკუთარი მოქალაქეების არჩევანში. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ყველანი ვართ ისტორიული მოვლენის თანამონაწილეები: ქვეყანაში მკვიდრდება მეორე ტურის კულტურა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველო ევროპული ოჯახის ნაწილია...

რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მხარდამჭერებს, თითოეულ თბილისელს, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს და ჩათვალეს, რომ მთავარი ის კი არ არის, ვინ, სად, რომელ ქალაქში, ან რომელ უბანში დავიბადეთ, არამედ ის, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი საერთო სამშობლოსთვის, ჩვენი საქართველოსთვის და იმ ქალაქისთვის, რომელიც ყველას განურჩევლად ასე ძალიან გვიყვარს. თქვენს ნდობას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამ ქალაქში გავატარე და ისევე მტკიოდა და მტკივა წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი პრობლემა, როგორც თითოეულ თქვენგანს. თითოეული თქვენი ხმა ჩემთვის დიდი სტიმული და მოტივაციაა, რომ კიდევ უფრო მეტი შემართებით ვიბრძოლო გამარჯვებისთვის, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა ჩავდო იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელზეც მე და ჩემმა გუნდმა მრავალი თვის განმავლობაში ვიმუშავეთ. მე მოვდივარ თქვენი კეთილდღეობისთვის, დასაქმების, ცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნისთვის, გაჭირვებული ადამიანების დახმარებისთვის, ახალგაზრდებისა და პენსიონერებისთვის, იმისთვის, რომ თბილისი გახდეს თქვენი ოცნების ქალაქი“, – ნათქვამია ნარმანიას განცხადებაში. (ნიუსპოსტი)

უსაფრთხოების ექსპერტის, ვახტანგ მაისაიას განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაკარგა მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი. ის, ფაქტობრივად, აღარაა წარმოდგენილი, როგორც მმართველი ძალა არც ერთ სახელისუფლებო, ფედერალურ და რეგიონალურ დონეზე. არჩევნებში დიდი კრახი განიცადა. ეს იყო სწორედ დასასრულის დასაწყისი“.

წარმოადგენს, შეიძლება, გამოყენებულ იქნას პოლიტიკური ან სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში. ერთი მომენტია, რომ „ნაცისტურმა“ მოძრაობამ დაკარგა ყველანაირი სახელისუფლებო მმართველობის ბერკეტი და ეს ფაქტია, ისინი უკვე ველარ აკონტროლებენ ველარც ძალოვან სტრუქტურებს, ველარც პოლიტიკურ ინსტიტუტებს და, რადარით, ბერკეტები გამოეცალათ „ნაცებს“ და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მით უმეტესს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ოდიოზური ფიგურები, როგორიც არის მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა, დადანაშაულებულები არიან კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაში, ანუ კრიმინალები არიან და სამართლებრივად რომ ვილაპარაკოთ, ელისუფლებო სტრუქტურებში ცოტაა? ან, იმ ჯალათების ყოფნა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სტრუქტურებში, ვინც ადამიანების დასჯას ემსახურებოდნენ, ეს ხალხი დღესაც თავის ადგილზეა.

**— კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ახსენეთ და ამ უწყებიდან შეგიძლიათ, კონკრეტული პირის დასახელება?**

– კი, ბატონო, გეტყვით, ფაქტი რა გინდათ, კაცო?

არის თუ არა ეს გულის გასახეთქი ფაქტი? თქვენი რეაქცია გასაგებია, მაგრამ ამას წერს ამერიკის შეერთებული შტატების, ვიმეორებ, უძლიერესი და უგავლენიანესი ასოციაციის წევრები და ვინ არიან, იცით, ეს ადამიანები? რეიგანის ყოფილი მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში, ამერიკის საზღ-

# რა დრო რჩება „ნაციონალების“ აგენტურის ამოქმედებამდე?

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნამდვილად განიცადა კრახი, მუნიციპალურ მმართველობაში ისინი ნამდვილად აღარ იქნებიან, მაგრამ ჩვენ გვახსოვს ვახტანგ მაისაიას სხვა სიტყვებიც, ნაცებს თავისი აგენტურა ჩანერგილი ჰყავთ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიო.**

**„ალიას“ ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

– დღეს სწორედ გიორგი თავდგირიძე მეუბნებოდა, რომ ძალოვან სტრუქტურებში მოკალათებული მე-5 კოლონა, რომელიც „ნაცების“ დარჩენილ აგენტურას განაც დიდია საშიშროება, რომ „ნაციონალური“ პარტია მთლიანად ჩამოიშალოს, სავსებით დასაშვებია, პარტია გადავიდეს შეიარაღებული გადატრიალების მცდელობაზე.



საერთოდ, „ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად აგებული იყო სახელისუფლებო მმართველობის პრინციპზე, ეს იყო ტოტალიტარული მმართველობის პარტია, პრინციპი კი იყო დემოკრატიული ცენტრალიზმი და გაიცემოდა ისეთი დირექტივები, რომელსაც ყველა ასრულებდა. მაგრამ, როგორც გითხბუნებრივია, ასეთი ადამიანებისგან განწმენდის სურვილი ნებისმიერ პარტიას გაუჩნდება, მით უმეტესს, იმ ფონზე, როცა ისინი კარგავენ პოლიტიკურ ხელისუფლებას. ამ პარტიის საქმე ნამდვილად არ არის სახარბიელო და ამ ფონზე ამჟამად მათთვის მნიშვნელოვანია ჩანერგილი აგენტურის ამუშავება.

ახლა, რაც შეეხება ამ ჩანერგილებს: ეს ხალხი ძირითადად თავმოყრილია ძალოვან სტრუქტურებში, იგივე შეიარაღებულ ძალებში, სხვათა შორის, ევროანტლანტიკური მიმართულებითაც, იგივე, ევროატლანტიკურ სამიტშიც ყოფილი „ნაცისტები“ არიან.

**„გიორგი თავდგირიძე მეუბნებოდა, რომ ძალოვან სტრუქტურებში მოკალათებული მე-5 კოლონა, რომელიც „ნაცების“ დარჩენილ აგენტურას წარმოადგენს, შეიძლება, გამოყენებული იქნას პოლიტიკური ან სამხედრო გადატრიალების შემთხვევაშიო“**

**— კონკრეტულად?**

– დათო სიხარულიძე. თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც არის ევროატლანტიკური საკითხების სამინისტროს მრჩეველთა ჯგუფში. ანუ, ფაქტობრივად, გამოდის, რომ მინისტრის მრჩეველია! ეს უმნიშვნელო ამბავია? მსგავსი ჩანერგილების მონაწილეობა სახ-



„ამერიკის ვეტერანთა ასოციაცია“ არის უძლიერესი და მეტად გავლენიანი ორგანიზაცია, რომელმაც პირდაპირ გამოაქვეყნა კონკრეტული მასალა ვინმე ვალერი ზუმბაძეზე, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი იყო.

**— და რა ქნა ამ ზუმბაძემ?**

– ზუმბაძემ მოახდინა ლაფანყურის საქმეში მონაწილე და გადარჩენილი ისლამისტების გადაყვანა თურქეთში. სწორედ ზუმბაძემ უხელმძღვანელა ამ ოპერაციას, როცა საქმე ოთხ ისლამისტს შეეხებოდა და უშუალოდ მონაწილეობდა ტერორიზმის მხარდამჭერ აქციაში. დღეს კი ეს ვალერი ზუმბაძე არის ლაფანყურის ოპერაციის გამოძიების ჯგუფის ხელმძღვანელი. ამაზე მეტი ვაო და ქვეითი ჯარების სარდალი, ჩვენებურად, „ცეერუს“ ხელმძღვანელის მოადგილე და მეტი ვინ უნდა იყოს უფრო კომპეტენტური? ეს ხალხი აზანზარებს ამერიკის საგარეო საქმეებს და ეს წერილი კი დევს მათ ვებსაიტზე. დიდი ეჭვია, რომ ამ გადასვლისას რუსლან პაპასკირის სახელით საქართველოდან თურქეთში გადავიდა ალი დაბუევი, რუსეთის დივერსანტი. იქ თურქეთის კონტრდაზვერვამ დაიჭირა და დაამტკიცა, რომ ეს კაცი იყო „გრუ“-ს საიდუმლო აგენტი, რომელიც დივერსიის მომწყობია, მეტსახელად „ზონა“.

მე ფაქტს ვაფიქსირებ და დანარჩენი ხელისუფლებამ უნდა გადაწ-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დედოფლისწყაროში ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა



დედოფლისწყაროში სუიციდის შემთხვევა მოხდა. ადგილობრივი გამოცემა „ქიზიყის“ ინფორმაციით, ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრებმა 57 წლის მარინა ლ-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვლილი საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ხეზე ჩამოკიდებული სამსახურიდან დაბრუნებულმა შვილმა აღმოაჩინა.

გამოცემის ცნობით, 2 წლის წინათ სიცოცხლე ასევე თვითმკვლელობით დაასრულა გარდაცვლილი ქალბატონის უმცროსმა შვილმაც. დაკარგული 27 წლის მამაკაცი ხუთდღიანი ძებნის შემდეგ დედოფლისწყაროში, მეზობლის მიტოვებულ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

რამდენიმე წლის წინათ ტრაგიკულად, ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლეც. (ფრონტნიუსი)

## „30 ივნისიდან საკუთარი სურვილისამებრ პრემიას ვერავინ გამოიწერს“




„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი თბილისის საკრებულოში გაცემულ პრემიებს ეხმიანება და აცხადებს:

„წინა ხელისუფლების დროს პრემიებს კოლოსალურად გასცემდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვლება, საქართველოს მთავრობა მკაცრ რეგულაციებს მიიღებს, ასე აღარ გაგრძელდება და ყველა შესაბამისად დაისჯება. 30 ივნისიდან შესაბამისი რეგულაციები ამოქმედდება და საკუთარი სურვილისამებრ ვერც საკრებულოდან და ვერც მთავრობის სტრუქტურული ერთეულებიდან პრემიას ველარ გამოიწერენ. წამყვანი ქვეყნების მიერ აღიარებული პროექტის ანალოგზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. შესაბამისად, მსგავსი უხერხული სიტუაციები აღარ შეიქმნება და ყველასთვის ცნობილი იქნება, ვინ, როდის და რატომ აიღო პრემია“, – განაცხადა ცაგარეიშვილმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ან არ უნდა, გაიგოს, ან არ იცის, რა არის ეკონომიკური ზრდის წყარო“



„თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე მთავრობის ეკონომიკური გუნდის მუშაობას აფასებს.

„იმ შენელებაში, რომელსაც ვაკვირდებით და რომელსაც შარშანაც ვაკვირდებოდით, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მთავრობის პოლიტიკას. თუ საქართველოში ზრდა 6-7%-ზე ნალებია, მაშინ სამუშაო ადგილების რაოდენობა მცირდება, თუ 6-7%-ია რაოდენობა იგივე დონეზე რჩება, თუ მეტია, დამატებითი სამუშაო ადგილებიც იქმნება. ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში არ იქმნება სამუშაო ადგილები, უბრალოდ უფრო მეტი ძველი სამუშაო ქრება, ვიდრე იქმნება და ამიტომ ბალანსი არის შემცირებისკენ. ჩემი აზრით, ეს ძალიან მტკივნეული მოვლენაა. ლაპარაკია იმაზე, რომ კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი შეიძლება დასაქმების გარეშე აღმოჩნდეს და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მთავრობამ შეცდომები გამოასწოროს. მთავრობამ შექმნას გარკვეულწილად, აღადგინოს ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არსებობდა და თუ რაღაც შეცდომები იყო, სჯობს, გამოსწორდეს, ვიდრე რევანშისტური მოქმედებებს მიმართოს“, – განაცხადა ბენდუქიძემ და დასძინა, რომ „წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა დამყარებული იყო იმაზე, რომ გადასახადები არ უნდა იზრდებოდეს, რაც შეიძლება, გახსნილი იყოს ეკონომიკა, ქართველი და უცხოელი ინვესტორებისთვის თანაბარი პირობები იყოს და ბიუროკრატიული პროცედურები – ადვილი“.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტებს იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლების დროს ეკონომიკური ზრდა ფიქციური იყო და მიღწეული მაჩვენებლები მხოლოდ რამდენიმე ობიექტის მშენებლობით განისაზღვრა, ბენდუქიძე სისულელეს უწოდებს.

„ეს არის გაუნათლებლობა და სისულელე. ხალხი, რომელიც ამას ამბობს, იმედია, ხვდება, რომ პოლიტიკური მიზნებისთვის ტყუის, რადგან თუ ასეთი ხალხის ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედი, მთლად დავღუპულვართ“, – აღნიშნა ბენდუქიძემ და დასძინა, რომ „მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ან არ უნდა გაიგოს, ან არ იცის, რა არის ეკონომიკური ზრდის წყარო“. (ფრონტნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ყვიტოს. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტს რომ დაწერთ, რეაგირება მაინც არ იქნება. თან მთელი მარშრუტია აღწერილი ამერიკელების მიერ, კონკრეტულად რომელი სოფლიდან მოხდა გადასვლა და ამათ მიანიშნეს, ეს თქვენ გყავთ ასეთი ადამიანიო. ამაზე მეტი აგენტურა რა გინდათ? აგენტურას წარმოადგენს „სამართლიანობის ლიგა“, ირაკლი ფირცხალავა, ვაზაგაშვილისა და ბუტას მკვლელობებში რომ არის გარეული და ეს არ არის აგენტურის არსებობის მშვენიერი მაგალითი? ესაა ცენტრი, რომელიც აგენტებს შიგნიდან მართავს.

**— თქვენ კიდევ ამბობთ, დასასრულის დასაწყისიო. თქვენ ხართ უსაფრთხოების ექსპერტი, და „ნაციონალები“ შემოდგომაზე რომ აანონსებენ აქციებზე მისვლას, ამ აგენტურამ რა შეიძლება, მოიმოქმედოს? იგივე, შეიარაღებულ სტრუქტურებში ჩანერგილმა ადამიანებმა რა შეიძლება, გააკეთონ?**

– ამ აგენტურამ ყველაფერი შეიძლება, ჩაიდინოს. ანუ ძალოვანი უზრუნველყოფაა, რა. მათ შეუძლიათ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდება და შესაბამისად, გარკვეული ადამიანების დაპატიმრება, რომლებიც შეიძლება, წინ აღუდგნენ მათ მიერ მომზადებული გადატრიალების მცდელობას. შეუძლიათ, უშუალოდ, შეიარაღებულ ძალებში ჩანერგილი აგენტურისა და ძალების ქუჩაში გამოყვანა.

**— და საბოტაჟი?**





**„დათო სიხარულიძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც არის ევროატლანტიკური საკითხების სამინისტროს მრჩეველთა ჯგუფში. ანუ, ფაქტობრივად, გამოდის, რომ მინისტრის მრჩეველია! ეს უმნიშვნელო ამბავია? მსგავსი ჩანერგილების მონაწილეობა სახელისუფლებო სტრუქტურებში ცოტაა?“**

– კი, ბატონო მთლიანი საბოტაჟი. ანუ, ყველაფერი, რაც შეიძლება ამ დროს გაკეთდეს ხელისუფლებისა და ხალხის წინააღმდეგ. კლასიკური სამხედრო გადატრიალება შეუძლია ამ აგენტურას. სწორედ ასე განახორციელეს ბოლშევიკებმა ცნობილი გადატრიალება. ვიმეორებ, „ნაცისტები“ შესაძლოა, წავიდნენ ამ უკიდურეს ზომაზე, რადგანაც მათ დაკარგეს მთავარი ძალაუფლება და მათ სხვა გასაქანი არ აქვთ! მით უმეტესს, თუკი გახმიანდა, რომ შემოდგომაზე აპირებენ დიდი არეულობის მოწყობას, როგორც ჩანს, ისინი აი, ამ სცენარისთვის ემზადებიან.

წელან ბოლშევიკები ტყუილად არ ვახსენე, ძალიან ახლოსაა ჩვენი დღევანდელი სიტუაცია ბოლშევიკების გადატრიალებასთან, რომლებმაც 1917 წლის აგვისტოში დაკარგეს ხელისუფლების ბერკეტები და გავლენა საზოგადოებრივ სტრუქტურებში, სახელმწიფოს მართვა გადაეცა ბოლშევიკებს და მენშევიკური პარტია აღარ წარმოადგენდა გავლენიან ძალას და სწორედ ამ სიტუაციაშია დღეს „ნაციონალური“ პარტია. იმ ბოლშევიკებსაც ჩანერგილი აგენტურა ჰყავდათ და იმათაც არმიასა და პოლიციაში. კრიტიკულ სიტუაციაში როგორც ბოლშევიკებმა გამოიყვანეს კრიტიკულად განწყობილი ხალხი, ისე გამოიყვანენ ესენიც.

**„ზუმბაძემ მოახდინა ლაფანყურის საქმეში მონაწილე და გადარჩენილი ისლამისტების გადაყვანა თურქეთში. სწორედ ზუმბაძემ უხელმძღვანელა ამ ოპერაციას, როცა საქმე ოთხ ისლამისტს შეეხებოდა და უშუალოდ მონაწილეობდა ტერორიზმის მხარდამჭერ აქციაში. დღეს კი ეს ვალერი ზუმბაძე არის ლაფანყურის ოპერაციის გამოძიების ჯგუფის ხელმძღვანელი“**

**— შესაძლოა, სიტუაცია ასეთი ტრაგიკულიც არ იყოს, რადგანაც ხალხი ისე ჰყავთ გამწარებული, რომ გამოვრიცხავ „ნაციონალების“ ხელახალ მისვლას, ყოველ შემთხვევაში უახლოესი ხუთი წლის მანძილზე. ჩვენ ყველაფერი კარგად გვახსოვს და იმიტომ.**

– მეც ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მათ ბოლო ბასტიონი ექცევათ, სადაც ფედერალურ დონეზე სრულად ჰქონდათ ბერკეტები, ძალოვნებს აკონტროლებდნენ, საკანონმდებლო ხელისუფლებაში დაკარგეს ძალაუფლება, მაგრამ რჩებათ სასამართლო, მათი იყო უშიშროების საბჭო, სპეციალური დაცვის სამსახური, გენშტაბიც მათი იყო, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაკარგეს ფედერალური დონის ბერკეტები, ბოლო ბერკეტი იყო ადგილობრივი თვითმმართველობები და აქვე უნდა გითხრათ, რომ არჩევნებში აღებული იმ 22 პროცენტიდან 7 პროცენტი სწორედ ადმინისტრაციული რესურსის წყალობით აქვთ აღებული, იმიტომაც იბრძოდა გამწარებული უგულავა მერობის დაბრუნებაზე და რეალურად, „ნაცისტების“ იყო მხოლოდ 15 პროცენტი, ახლა გაკოტრებულები არიან და მეტად საშიშნი და ამაზე დაფიქრება ნამდვილად გვმართებს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## საკონსტიტუციო კომისიის წევრს თანხის გამოძალვაში ადანაშაულებენ



საკონსტიტუციო კომისიის წევრს პაატა ცნობილაძეს თანხის გამოძალვაში ადანაშაულებენ. 18 ივნისს ხმაური იყო პაატა ცნობილაძის სახლთან. სამი ოჯახი, რომლებიც თავს დაზარალებულად მოიხსენიებს, თანხის დაბრუნებას ითხოვს. პაატა ცნობილაძე ბრალდებებს უარყოფს.

„ნდობაში შედიოდა ხალხთან, სახლებს ადებინებდა, მიჰქონდა ფული სადღაც მაღაზიებში, რომელსაც აკეთებდა თუ გაკეთებული ჰქონდა. კანადის თანხები გამოგვძალა, ჩემი შვილი მიჰყავდა, მეგი სამხარაძე, ასევე ლევან გვრიტიშვილი. ამის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი მაქვს, რომელსაც პოლიციაში წარვადგენ“, – აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული ლია შანშიაშვილი.

მისი ადვოკატის თქმით კი, საუბარია რამდენიმე მოქალაქისგან 60 000 დოლარის გამოძალვაზე.

პაატა ცნობილაძე ადასტურებს, რომ აღნიშნულ პირებს იცნობს, თუმცა ბრალდებებს უარყოფს. „დაიწყეთ გამოძიება და ვნახოთ, ვინ სად რას იღებდა და სად წაიღო“, – აცხადებს ცნობილაძე. (ინტერპრესნიუსი)



## „ამ ლოგიკით შიხიაშვილი თბილისელებს სერიოზულ პრობლემებს უჩენს“

უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებას ეხმაურება, სადაც შიხიაშვილი პრემიებზე განმარტებებს აკეთებს.

„თქვენი ხელფასი რომ არ იყოს თქვენი შრომის შესაბამისი და შესატყვისი, თქვენი შრომისუნარიანობა და ნაყოფიერება შემცირდება? თქვენს სტუდიის ხელმძღვანელს სერიოზულ პრობლემას გაუჩენთ“ ეს არის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პასუხი პრემიაზე :((((

ანუ ამ ლოგიკით ბატონი შიხიაშვილი თბილისელებს (როგორც მისი სტუდიის ხელმძღვანელს) სერიოზულ პრობლემებს უჩენს და რთულია, არ დაეთანხმო.

სრული დატვირთით და ღირსეულად მუშაობაში ადამიანი ხელფასს იღებს, ხელფასს!!!!!!!! დამსახურებული პრემია განსაკუთრებული გმირობისთვის გაიცემა, ხოლო არჩეული ადამიანების პრემია ამომრჩევლის ხმებია, ხმები!!!!!

და კიდევ იმავე ბიუროს შეეძლო გადაეწყვიტა ამ ფულის პირდაპირ ფონდში გადარიცხვა, ამის პრობლემა არ აქვს საკრებულოს, მეტი გამოვიდოდა, საშემოსავლო არ დაიქვითებოდა“, – წერს ხიდაშელი „ფეისბუკზე“. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები მარნეულის საავიაციო ბრიგადას ესტუმრნენ



საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები საქართველოს შეიარაღებული ძალების მარნეულის საავიაციო ბრიგადას ესტუმრნენ.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, საავიაციო ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა დავით აბრამიშვილმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ქვედანაყოფის სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. სტუმრებმა საავიაციო ბრიგადის ტერიტორიაზე დასრულებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიიღეს და არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

საავიაციო ბრიგადაში ვიზიტი ატაშეთა ასოციაციის წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელდა.

ატაშეების ასოციაცია 24 ქვეყნის წარმომადგენელს აერთიანებს. თავდაცვის ატაშეების გაერთიანების მიზანია, საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაცია პირველწყაროებიდან მიიღოს. სამხედრო ატაშეები საქართველოს სამხედრო უწყებასთან, ორმხრივი სამხედრო გეგმის ფარგლებში თანამშრომლობენ. (ფრონტნიუსი)

## „რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე ლაპარაკი ჯერ შორეული პერსპექტივაა“




საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი ეხმაურება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების განახლებისთვის პირველი ნაბიჯი თბილისმა უნდა გადადგას.

„ჩვენ კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზად ვართ, მაგრამ ძალიან შევიწროებულია ჩვენი შესაძლებლობები იმ საოკუპაციო ხაზებითა და სხვადასხვა პოლიტიკური წითელი ხაზებით, რომელიც გვაქვს ორმხრივ ურთიერთობაში. დიპლომატიურ ურთიერთობებზე ლაპარაკი ჯერ შორეულ პერსპექტივაში შეიძლება, განვიხილოთ“, – განაცხადა ვოლსკიმ. (ფრონტნიუსი)

# „ოცნებიდან“ წამოსული მერაბ შათირიშვილი ერისკაცთა სათათბიროს ქმნის



**მწერალმა მერაბ შათირიშვილმა „ქართული ოცნების“ რიგები დატოვა. ის პარტიის დამფუძნებელი და ამავე დროს, ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელი გახლდათ.**

**რა გახდა „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის მიზეზი, ამაზე „ალიას“ თავად მერაბ შათირიშვილი ესაუბრება:**

**— მერაბ, როგორც ვიცი, შენ ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა აღგაშფოთა და ამიტომ წამოხვედი. რა მოხდა, გულახდილად მითხარი, აქ მიზეზი მხოლოდ არჩევნები არ იქნებოდა.**

– ვერავინ ვერ იტყვის, რომ მერაბ შათირიშვილმა ვინმეს რამე მოსთხოვა, ან რამეზე განაწყენდა. არც თანამდებობა მომითხოვია ოდესმე და არც არაფერი, მე ყოველთვის ვიყავი რიგითი ჯარისკაცი. რაც კი საჭირო იყო საერთო საქმისთვის, ვაკეთებდი და მომავალშიც გავაკეთებ, ოღონდ ამ გუნდთან ერთად – ვერა.

**— რატომ, ამ გუნდმა რა დაგიშავა?**

– ამ გუნდმა ყოველგვარი იმედი გაუცრუა ქართველ ხალხს და მე ჩემს ხალხთან ერთად უნდა დავრჩე.

**— კონკრეტულად ვილაპარაკოთ.**

– პირველი ჩემი შოკი იყო ის, რაც არჩევნებამდე გააკეთეს, ვგულისხმობ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, „ოცნებამ“ რომ მიიღო „ნაციონალებთან“ ერთად. ამან, ფაქტობრივად, შოკში ჩამაგდო, მე განცხადებაც გავაკეთე, რომ ამას ვემიჯნებოდი და ისიც ვთქვი, ამ კანონის მიმღები პარლამენტი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უნდა დაიშალოს-მეთქი, ეს არ არის ქართული პარლამენტი. მე ისევ ვარ იმ აზრზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია, უნდა გასამართლდეს. მე რაც შემეძლო გავაკეთე, „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატსაც დავეხმარე არჩევნებში, მაგრამ ახლა აბსოლუტურად მივიღეთ სიამის ტყუპები. როცა მოწინააღმდეგეებს ერთმანეთი „უყვარდებათ“, მათ აწყობთ ერთმანეთის ფონზე დავა-კამათი და ერთგვარი პიარი. ჩვენ, სამწუხაროდ, მივიღეთ ასეთი სურათი... როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებდა, არც ერთ რაიონში „ნაციონალებმა“ არ უნდა გაიმარჯვონო, მე ვიცი, არ გულისხმობდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, ის მართლაც დარწმუნებული იყო, რომ ყველგან „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, მაგრამ ის მოატყუეს. აი, სწორედ ამ ტყუილსა და სიცრუეშია საქმე. სადაც მეორე ტურის საკითხი დადგა, ყველგან არის დიდი პრობლემა. რასაც დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.



**„ანტიდისკრიმინაციული კანონი „ოცნებამ“ რომ მიიღო „ნაციონალებთან“ ერთად, ამან, ფაქტობრივად, შოკში ჩამაგდო, მე განცხადებაც გავაკეთე, რომ ამას ვემიჯნებოდი და ისიც ვთქვი, ამ კანონის მიმღები პარლამენტი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უნდა დაიშალოს-მეთქი, ეს არ არის ქართული პარლამენტი**

**— მერაბ, მეორე ტური რატომ არის საგანგაშო და დიდი პრობლემა?**

– საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი ხდება გაუგებრობის ფონზე და ყველაფერი „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის ბრალია. ჩვენ კლანური დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ, რამდენიმე რაიონში სწორედ ამის გამო დაინიშნა მეორე ტური, შეიძლება არჩევნებში იყოს რამდენიმე ჩავარდნა, მაგრამ აქ უკვე მასობრივი ჩავარდნაა. ყველაფერს

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საკრებულოში პრემია 243-მა ადამიანმა აიღო



თბილისის საკრებულო საკრებულოს იმ წევრებისა და თანამშრომლების სიას ასაჯაროებს, რომლებმაც ივნისში პრემია აიღეს.

ყველაზე დიდი ოდენობის პრემია – 8496 ლარის ოდენობით საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა აიღო. შიხიაშვილის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით პრემია, 7080 ლარის ოდენობით, მის პირველ მოადგილეზე გიორგი მუსხელიშვილზე გაიცა. საკრებულოს წევრების პრემიები კი ასეთია: გიორგი ტყემალაძე – 6840, ჯაბა სამუშია – 6840, მიხეილ ქავთარაძე – 6240, გიორგი ნემსაძე – 6240, ზაალ სამადაშვილი – 6240, გიორგი ქველაძე – 6240, გელა ომანიძე – 6240, ნინო თევდორაძე – 6240, ზაურ დოლიძე – 6240, კახა გურული – 6240, ზურაბ გაჩეჩილაძე – 6240, ირაკლი დვალი – 6240, კახა კუკავა – 6240, ნათელა მაჭავარიანი – 6240, დავით წერეთელი – 6240, ნიკოლოზ ხაჩირაშვილი – 6240, დავით ჯინჭარაძე – 6240, კახაბერ ფირუაშვილი – 6240, მაკა გვარამია – 6240, მამუკა კაციტაძე – 6240, თამაზ შოშიაშვილი – 6240, ლაშა იმედაშვილი – 6240, თეიმურაზ გრიგალაშვილი – 6240, მამუკა ახვლედიანი – 6240, კონსტანტინე იონათამიშვილი – 6240, ზაზა გაბუნია – 6240, მერაბ რაფავა – 6240, გიორგი ჩაჩანიძე – 6240 ლარი.

საკრებულოში პრემიები 2880-დან 800 ლარის ფარგლებშია გაცემული. პრემია სულ 243 ადამიანზე გაიცა.

მას შემდეგ, რაც პრემიების გაცემას კრიტიკა და ხმაური მოჰყვა, კომენტარი გააკეთა შიხიაშვილმა:

„ჩვენი საკრებულოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაუმსახურებელი პრემია არასდროს გაცემულა. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ საკრებულო თავის მოვალეობას ასრულებს სრული დატვირთვით და ღირსეულადაც ართმევს თავს. სწორედ ამის შედეგია, რომ აღარ ეძლევა საშუალება ზოგიერთ ვაჟბატონს, რომ 50 მილიონობით ლარი არამიზნობრივად გაფლანგოს. მიმაჩნია, რომ თავის მართლება არასწორი იქნება ჩვენი მხრიდან, ვინაიდან საკრებულოში პრემიების გაცემის საკითხს წყვეტს არა ერთი ადამიანი, არამედ კოლეგიალური ორგანო – ბიურო. ბიუროზე ერთსულოვანი და ერთობლივი გადაწყვეტილება იქნა მიღებული პრემიებთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ ეს პრემიები არის დამსახურებულად და თანაბრად ყველა თანამშრომელზე გაცემული როგორც დეპუტატებზე, ასევე, აპარატის თანამშრომლებზე. ეს იყო მუდამ ასე. ამ შემთხვევაში გავრცელებულია ცრუ ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით თითქოსდა ადამიანების დიფერენციაცია ხდება და საკრებულო ამას სხვა მიზნებისთვის იყენებს“, – განაცხადა შიხიაშვილმა. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...





## ალეკო ელისაშვილი გია ხუროშვილს აქებს

საკრებულოს მომავალმა წევრმა და საბურთალოს ყოფილმა მაჟორიტარობის კანდიდატმა ალეკო ელისაშვილმა საბურთალოს გამგეობის მუშაობა დადებითად შეაფასა.

მან აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრებს დროს არაერთი განხორციელებული პროექტი დახვდა. მისი თქმით, „საბურთალოს გამგებელს გია ხუროშვილს შევაქებდი, მიუხედავად იმისა, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. ის არის ძალიან ენერგიული ადამიანი და მისი გაკეთებული და განხორციელებული პროექტი ბევრი დამხვდა უბანში. ის უბნის პრობლემებზე ნამდვილად ინფორმირებულია“, – განაცხადა ელისაშვილმა. (ნიუსპოსტი)

## სერგეენკოსთვის მინისტრთა კაბინეტში მოღალატეების ძებნა წარმოუდგენელია



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით, მასა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შორის საქმიანი და პიროვნული ურთიერთობა არ შეცვლილა. მინისტრი პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის იმ კომენტარს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ მთავრობამ პრეზიდენტისგან გარკვეული დისტანცია დაიჭირა.

„ცალსახად გიდასტურებთ, რომ არანაირ განცხადებას საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობაში, მით უმეტეს დისტანცირებაზე არ უქონია გავლენა. ის არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქე, ჩემი ჩათვლით, პატივს სცემს და ჩვენი ურთიერთობა, როგორც საქმიანი, ასევე პიროვნული არ შეცვლილა ბოლო პერიოდში... ჩემი აზრით, შეხედულება რომ რაღაც დისტანცირება ხდება, გამოწვეულია საკონსტიტუციო ცვლილებებით. უბრალოდ, შეიცვალა ფორმატი საქართველოს პრეზიდენტის და ის ისე აქტიურად რეალურ აღმასრულებელ საქმიანობაში აღარ ერევა და აღარ უნდა ჩაერიოს. რას დავარქმევდი ამ ურთიერთობას, ჩემი აზრით, მე დავარქმევდი სახელმწიფოებრივ და კონსტიტუციურ ფორმატში საქმიან ურთიერთობას, როგორც უნდა იყოს“, – განმარტა სერგეენკომ.

მინისტრი, ასევე, გამოეხმაურა ე.წ. 4-5 მოღალატე მინისტრის თემას. სერგეენკოს შეფასებით, წარმოუდგენელია მინისტრთა კაბინეტში მოღალატეების ძებნა.

შეგახსენებთ, პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა განაცხადა: „ღარიბაშვილის ადგილზე მე მომინდებოდა ზოგიერთი მინისტრის შეცვლა, 4-5 მოღალატე მინისტრის თემა ჰაერიდან მოტანილი არ არის“. (ნიუსპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

რომ თავი დავანებოთ, დღეს ტრაბახობენ, დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთო. კაი ბიჭი ხარ და ნუ ჩაატარებ, ეს რა სატრაბახოა, 25 წელიწადია არჩევნებში გავატარეთ ცხოვრება. დემოკრატიული ფორმა ამ ყველაფერს ქართველმა ხალხმა მისცა. შე ოჯახაშენებულო, 2012 წლის შემოდგომაზე ამდენმა ხალხმა მოგცა ხმა და ნდობა გამოგიცხადა, რატომ კარგავ ამ ყველაფერს?!. ამათ დაიწყეს ძალიან მაგრად და ასრულებენ ძალიან ცუდად!..

**— შენ მუშაობდი „ქართული ოცნების“ ანალიტიკურ ჯგუფში, იქიდანაც წამოხვედი?**

– დიახ, მე ვმუშაობდი „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში, სამსახური დავტოვე ნებაყოფლობით, რადგან იქაურობა გაივსო „მოქალაქეთა კავშირის“ ყოფილი წევრებით. მე ვარ გულანთებული ადამიანი, მაგრამ დეიდაშვილობის, მამიდაშვილობისა და ძმაკაცობის შემყურე, იქ ვერ გავჩერდებოდი. როცა ვხედავ სახელმწიფოებრივი მიდგომა და სახელმწიფოებრივი ხედვა არ არსებობს ხალხთან მიმართებაში, იქ ჩემს ადგილს ვერ ვხედავ. რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო მე, რომ 1500 ლარისთვის გავჩუმდე?!.

**— ახლა რას აპირებ?**

– მე ახლა გამოვდივარ ინიციატივით, რომ შეიქმნას ერისკაცთა სათათბირო, რომელიც შექმნის ქართულ სინამდვილეს და არა „ქართულ ოცნებას“.

**— სანამ წამოხვიდოდი „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას, ან მეგობრებს თუ ესაუბრე ამის შესახებ?**

– როგორც კი პარტია „ქართულ ოცნებაში“ ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, მე შევხვდი კახი კალაძეს და გიორგი ვოლსკის, ვესაუბრე ამ ყველაფერზე. მათ ვუთხარი, – ორი არჩევნები ჩატარდა, გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ ვინც ეს ბრძოლები გამოიარა, ყველანი გადაყრილები არიანმეთქი. უმადურობა, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, დღეს ათიათასობით მომხრე გადაგდებულია. ძალიან ბევრია ნაწყენი, ვისაც უმადურად მოექცნენ. მე მათ ეს პირდაპირ ვუთხარი, უამრავ რაღაცებზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო. მე კახის ისიც ვუთხარი, გარშემო მიმოიხედეთ და დაინახავთ, „მოქალაქეთა კავშირის“ რამდენი ყოფილი წევრია „ოცნებაში“-მეთქი. დღეს ასეთებით გაავსეს პარტია და ასეთებით გაავსეს საკრებულოები. ყველგან ყოფილი „ნაციონალები“ წამოსვეს. არაფერი არ გაითვალისწინეს, ვინც თვითონ უნდოდათ, ისინი ჩასვეს სიებში, ვითომ კარგი ფიგურები დააყენეს.

**— მერაბ, გაქცევა უფრო ცუდია, თუ დარჩენა და ბრძოლა?**

– მე არსად არ გავრბივარ, არც ვინმესთან მივრბივარ, უბრალოდ, ამ ხალხში ჩემს ადგილს ვერ ვხედავ. მათ არ გაითვალისწინეს ჩემი აზრი, ამიტომ, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი, ვტოვებ „ოცნებას“.

**„ეს ყველაფერი ხდება გაუგებრობის ფონზე და ყველაფერი არის „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის ბრალი. ჩვენ კლანური დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ, რამდენიმე რაიონში სწორედ ამის გამო დაინიშნა მეორე ტური“**

**„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია, უნდა გასამართლდეს. მე რაც შემეძლო გავაკეთე, „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატსაც დავეხმარე არჩევნებში, მაგრამ ახლა აბსოლუტურად მივიღეთ სიამის ტყუპები“**



**„როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებდა, არც ერთ რაიონში „ნაციონალებმა“ არ უნდა გაიმარჯვონო, მე ვიცი, არ გულისხმობდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, ის მართლაც დარწმუნებული იყო, რომ ყველგან „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, მაგრამ ის მოატყუეს“**

**— კონკრეტულად, რა არ გაითვალისწინეს?**

– რა არ გაითვალისწინეს, ამაზე ჯერ არ ვისაუბრებ. მე „ქართული ოცნების“ მიერ მიტოვებული ხალხის ბაზაზე გავაგრძელებ ბრძოლას. წამოსვლის შესახებ არავისთვის მითქვამს, ჩემი აქტივობა, ჩემი ხმამაღალი საუბრები, როგორც ჩანს, ზოგიერთს ძალიან აღიზიანებდა. როგორც ჩანს, მათთვის არ არის მისაღები. მე უბრალო ადამიანი ვარ, ჩემს სამშობლოზე კარგად არასოდეს მიცხოვრია. „ქართული ოცნებისთვის“ იმდენი მაქვს გაკეთებული, 1500-ლარიან სამსახურს ვერ დამამადლიან. არჩევნებში ხალხი არ გამოვიდა. ამას ზოგიერთი ექსპერტი ხსნის, თითქოს დემოკრატიულ ქვეყნებში ასეა. შე ოჯახაშენებულო, ევროპის ქვეყნებში 70% მაგრად ცხოვრობს და ამიტომაც სულ არ აინტერესებს შენი არჩევნები. საქართველოში 70% გაჭირვებულია, მე არ მინდა ეს ხელისუფლებაც სააკაშვილის რეჟიმს დაემსგავსოს, რომელიც გადასული იყო ფასადურ პოლიტიკაზე. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ამ არჩევნებმა დამარწმუნა, რომ „ქართული ოცნებიდან“ უნდა წავსულიყავი და წავედი კიდეც.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისსა და მარნეულში ხორცის სარეალიზაციო ობიექტები და პურის ქარხანა დაიხურა



სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა კრიტიკული შეუსაბამობების გამო თბილისსა და მარნეულში ხორცის სარეალიზაციო ობიექტები და პურის ქარხანა დახურა. სააგენტოს ინფორმაციით, მარნეულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი/მ „ასიფ ფარზალიევის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტში გამოვლინდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა. კერძოდ, ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა წყლის ხარისხის დამადასტურებელი გამოცდის ოქმი და ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, აღმოჩნდა სხვა სახის შეუსაბამობებიც – ობიექტს არ ჰქონდა ცენტრალური წყალმომარაგება, დახლმაცივარი, რის გამოც დარღვეული იყო ხორცის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი. აღნიშნული დარღვევების გამო ი/მ „ასიფ ფარზალიევს“ საწარმოო პროცესი შეუჩერდა და 1000 ლარით დაჯარიმდა.

ინსპექტირება უნდა ჩატარებულიყო ასევე იქვე მდებარე ი/მ „იუზიფ დარგალის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტში, თუმცა, მეწარმემ სააგენტოს წარმომადგენლებს ამის საშუალება არ მისცა, რის გამოც პატრულის გამოძახება გახდა საჭირო. ბიზნესოპერატორი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში ხელის შეშლის გამო 400 ლარით დაჯარიმდა.

სანიტარიული ნორმების დარღვევითა და ფორმა №2-ის გარეშე აწარმოებდა ხორცის რეალიზაციას თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე ი/მ „გიორგი აზნაურაშვილის“ ობიექტი, რის გამოც ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დაჯარიმდა, საეჭვო წარმომავლობის ხორცი კი დაილუქა და კანონის შესაბამისად განადგურდება.

კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა თემქაზე მდებარე შპს „დევის პურის“ პურის ქარხანას, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ჰიგიენურ მოთხოვნებს, არასათანადო პირობებში ინახებოდა და დაბინძურებული იყო პური, საცხობი ფორმები, შესაფუთი მასალა, ეტიკეტები და პურის სარეალიზაციო ყუთები. აღნიშნული დარღვევების გამო შპს „დევის პური“ 1000 ლარით დაჯარიმდა და პურის ქარხანას პურის წარმოება-რეალიზაციის უფლება შეუჩერდა. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ ცესკო-სგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

„არასაპარლამენტო ოპოზიცია“ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის ცესკო-სგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. საქმე ეხება ცესკო-ს განცხადებას, რომლის მიხედვითაც 18 ივნისს №40 ახალქალაქის და №65 მარტვილის საოლქო კომისიებში შეიჭრნენ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წევრები და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კომისიის წევრებს.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ცესკო-ს განცხადება წარმოადგენს ბინძურ ცილისწამებას და „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ დისკრედიტაციის მცდელობას.

საოლქო კომისიებში ამ დროს იმყოფებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები, ჟურნალისტები და რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს იქ განვითარებული მოვლენები. არანაირ ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. სხდომას ესწრებოდა სუს-ის თანამშრომელი, რომელიც თავს ასაღებდა ვინმე პარუმაშვილად, რომელმაც შეურაცხმყოფელი ტერმინებით გამოიწვია სიტუაციის ესკალაცია“, – ნათქვამია „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (რეპორტიორი)

## ამხელა პრემიების გაცემა არათუ უზნეობა, არამედ დანაშაულია!



თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატის, დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, „300%-იანი პრემიალური დანამატის განხორციელების სურვილი, ეს არის უზნეობის გამომხატველი აქტი, რომელიც არ უნდა განხორციელდეს“.

მისი თქმით, მარტში საკრებულომ „იზრუნა“ და გაიზარდა შრომის ანაზღაურება მთელი 64%-ით – 29 მილიონიდან 45 მილიონამდე.

„ესეც არ იკმარეს, საგზაო ინფრასტრუქტურას მოაკლეს 3 მილიონი და ეს თანხაც ხელფასებად გადაინაწილეს. დღეს, კუდის მოქნევის ბოლო ეტაპზე, მათ მიიღეს გადაწყვეტილება – კარგად დაისაჩუქრონ თავი და 14 000 ლარამდე ანაზღაურება მიიღონ.

ეს არის არამცთუ უზნეობა, არამედ დანაშაული და მას ხელი უნდა შეუშალოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. მაინტერესებს, ვინ არიან დეპუტატები, რომლებიც ამ უზნეობის აქტის განხორციელებას წინ არ აღუდგებიან“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ. (რეპორტიორი)

# უკრაინამ რუსეთის პატრიარქი პერსონა „ნონ გრატად“ გამოაცხადა

## როგორია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი კირილი უკრაინაში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა. უკრაინის კულტურის სამინისტროს რელიგიისა და ეროვნებათა საკითხების დეპარტამენტის განცხადებით: „კიევ-პეჩორის ლავრაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს სხდომა უნდა გაემართა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სინოდზე გარე ძალების ზეწოლის შედეგად სხდომაზე რუსეთის პატრიარქიც არის მიწვეული. აღნიშნული ვიზიტი რუსული სამხედრო აგრესიის მსვლელობისას არასასურველი, პროვოკაციული და პოლიტიკურად ანგაჟირებულია. მსგავსი ვიზიტი კონფესიათაშორისი დაპირისპირების ტალღას გააღვივებს, შესაბამისად, ის შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის აგრესიის დასრულებისა და უკრაინის ყველა დაპყრობილი ტერიტორიის დაბრუნების შემდეგ“. – ნათქვამია განცხადებაში.

„ალია“ დაინტერესდა, რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით ქართულ ეკლესიას და მომხდარა თუ არა მსგავსი პრეცედენტი? ამაში გასარკვევად „ალია“ საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსს, მამა მიქაელ ბოტკოველს დაუკავშირდა: „მე პოლიტიკოსი არ ვარ და ამიტომ ამ საკითხებზე პასუხს ვერ გაგცემთ. ალბათ, უკრაინაში არ შეუშვებენ, მაგრამ ჩვენ რა განცხადება და კომენტარი უნდა გავაკეთოთ ამაზე? უკრაინა და რუსეთი თვითონ გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობებს“. – განგვიცხადა ბოტკოველმა.

ამის შემდეგ, საკითხში უკეთ გასარკვევად რელიგიათმცოდნე, **ქეთევან პავლიაშვილს** დავუკავშირდით:

**— ქალბატონო ქეთევან, რას ნიშნავს „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადება, როცა საქმე პატრიარქს ეხება, იმას ხომ არა, რომ უკრაინაში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანებს არ მიეცემათ საშუალება საკუთარი პატრიარქის მიწვევისა, ანუ ეს ხომ არ არის გაუგონარი დისკრიმინაცია მორწმუნე საზოგადოებისა?**



– ნუ მიენდობით სრულად ამ ინფორმაციას. უკრაინას ძალიანაც, რომ უნდოდეს, უნარი არ შესწევს პატრიარქი „ნონ გრატად“ გამოაცხადოს, რადგან ეს გამოიწვევს მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან დაპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში უკრაინის ეკლესია აღმოჩნდება იზოლაციაში მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიებისგან. შესაბამისად, ვერასდროს მიაღწევს ნანატრ ავტოკეფალიას, რისთვისაც საუკუნეებია იბრძვის და ამის გამო აქვს დაპირისპირება რუსეთის ეკლესიასთან. არც კირილის ინტერესებშია დაარღვიოს საეკლესიო კანონიკა. საეკლესიო შეხვედრებზე ზოგადად პატრიარქის მიწვევა-არმიწვევას მართლმადიდებელი მრევლი არ წყვეტს. ეს საეკლესიო კანონიკაში არ ფიქსირდება. ამ საკითხს ეკლესიათა სინოდალური კრებული წყვეტს და რა თქმა უნდა, საერთაშორისო არენაზე მოთამაშე ძლიერ სახელმწიფოთა მეთაურები, ოღონდ ეს ფარულად ხდება. მათი აზრის გაუთვალისწინებლობა კი დიდ რელიგიურ დაპირისპირებებს იწვევს.

**— ჩვენი ეკლესია თავს იკავებს ამ თემაზე საუბრისგან და რატომ, თქვენი აზრით?**

– თავს იკავებს, რადგან აფხაზეთის ეკლესია ითხოვს ავტოკეფალიას. თუ მას რუსეთის ეკლესია მხარს დაუჭერს, ჩვენ პრობლემები შეგვექმნება ახლო მომავლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, სადაც დიდი გადათამაშებებია მოსალოდნელი. მართალია, იქ ერთი ეკლესიის მხარდაჭერით ვერ გადაწყდება აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ საქმე აშკარად გართულდება. თუ რუსეთის ეკლესია ამას გააკეთებს, მაშინ დაარღვევს მსოფლიო საეკლესიო საზღვრების კანონიკას. აფხაზეთი ხომ ისტორიულად საქართველოს ეკლესიის საეკლესიო იურისდიქციაშია? თავის მხრივ, რუსეთის ეკლესიასაც შეექმნება საფრთხე, რადგან სამაგიეროდ, ქართული ეკლესია მხარს დაუჭერს უკრაინის, ბელორუსის, ესტონეთის ეკლესიების ავტოკეფალიის მოთხოვნას. მათი დაკარგვა კი რუსეთის ეკლესიისთვის სიკვდილის ტოლფასია. მისი ძლიერება დაძაბუნდება.

**— მიკვირს, რატომ ღიზიანდებიან სასულიერო პირები, როცა ამ საკითხზე ვსვამთ კითხვებს?**

– მათ ეკლესიურად ეკრძალებათ ზედმეტი ლაპარაკი კურთხევის გარეშე და თან ასეთ საკითხებზე. ეს მათი წესია და მისი დაუმორჩილებლობა ეკლესიურად დასჯადია. თანაც, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების დაპირისპირება საქართველოსთვის დამღუპველია. საქართველოს ხომ სერიოზული პრობლემები აქვს აფხაზეთში და სამაჩაბლოში, სადაც ოსებმა და აფხაზებმა რუსული ეკლესიისგან განდგომილი რუსი სამღვდელოების ხელმძღვანელობით შექმნეს ე.წ. აფხაზეთისა და ალანიის საეპისკოპოსოები. წარმოიდგინეთ, ერთ პატარა ქვეყანაში ერთდროულად 3 ეკლესია მოქმედებს: ქართველების, აფხაზების, ოსების. აქედან ორი გარე ეკლესიისგან იმართება, რაც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, თან ეს ორივე ე.წ. ეკლესია რუსულ კანონიკურ ეკლესიასთან განდგომილია, ანუ განხეთქილებაშია.

ნუ გაგიკვირდებათ მათი და ნურც მიაკითხავთ ასეთ საკითხებზე, რადგან ასეთ საკითხებს მხოლოდ და მხოლოდ პატრიარქი მართავს ისე, რომ სინოდის წევრებიც კი არ არიან ამაში ბოლომდე ჩახედულები. რაოდენაც არ უნდა გაგიკვირდეთ, როცა პატრიარქი ასეთ საკითხებზე მიემგზავრება და მიბარებს, ყურში ვეჩურჩულებით ერთმანეთს, რადგან კედლებსაც კი აქვთ იქ ყურები. სულ ეს არის, ძალიან ზოგადი, რაც შეიძლება იცოდეთ, რადგან მეტის თქმის უფლება არ მაქვს, მეკრძალება და უნდა გამიგოთ, თან თქვენთვისაც უკეთესია, თუ მეტი არ გეცოდინებათ. რაც ვთქვი, სავსებით საკმარისია საზოგადოებისთვის, რადგან მეტის ცოდნა, თან ისეთ საზოგადოებაში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— ჩვენთან ინტერვიუებში არაერთ რესპონდენტს უთქვამს, რომ საპატრიარქოში დაპირისპირებაა. ახლა რა ხდება, ჩაწყნარდა სიტუაცია?**

– უფალმა დიდხანს აცოცხლოს ჩვენი პატრიარქი, მერე ნამდვილად დაიწყება ისეთი მძიმე პროცესები, სახელმწიფოებრივ საკითხებს, რომ დაავიწყებს კაცს. პატრიარქს ირჩევს სინოდი. სინოდში, ყველა ეკლესიაში და ყოველთვის, ასევე ჩვენშიც, არის და იყო დაჯგუფებები. ხელისუფლებას ყოველთვის მოეძიება მათ წრეში რჩეული. ყველაფერი მისი გაყვანისთვის მოხდება.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



### ხადური საკრებულოში გაცემული პრემიებით გაოცებულია

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საკრებულოში პრემიების გაცემის საკითხს ეხმაურება.

„წელიწად-ნახევარია პრემია არ ამიღია, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის არც ერთ წევრს. რაც შეეხება საკრებულოს, გამიჭირდება ამასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება და სიმართლე გითხრათ, ცოტა გაოცებულიც ვარ“, – განაცხადა ხადურმა.

საკრებულოში პრემიები 2880-დან 800 ლარის ფარგლებში 243 ადამიანზეა გაცემული. (ნიუსპოსტი)

### იმერლიშვილი კარასინის განცხადებას ეხმაურება



ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას ეხმაურება.

მისი თქმით, საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განსახილველად არსებობს ფორმატები, სადაც ამ საკითხს განიხილავენ.

„ეს არის საკითხი, რომელიც უნდა იყოს განხილული ჯერ ჟენევის ფორმატში, ასევე აბაშიძე-კარასინის ფორმატში და შემდეგ უკვე იქნება მიღებული გადაწყვეტილებები“, – აღნიშნა იმერლიშვილმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უნდა გადადგას.

„2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის გადაწყვეტილება რუსეთს არ მიუღია, ამიტომ მათი აღდგენის ფორმალურ მხარეზე ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ. მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რაც ახლა შეგვიძლია, რომ აღვადგინოთ ის კეთილი ტრადიციები, რომელიც ყოველთვის არსებობდა ქართველ და რუს ხალხს შორის“, – განაცხადა კარასინმა. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



### პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დავით პატარაია დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დავით პატარაია დაინიშნა, საგარეო ურთიერთობათა საკითხების მდივნად – თენგიზ ფხალაძე, ხოლო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად – გიორგი კვერენჩხილაძე.

თენგიზ ფხალაძე 2008 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრს. არის აშშ-ს ატლანტიკური საბჭოსა და ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის წევრი. სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი“, – ნათქვამია განკარგულებაში. (ნიუსპოსტი)

### თეა წულუკიანი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც სტრასბურგში, ევროსაბჭოს სათავო ოფისში გაიმართა, იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა მდივანმა ის რეფორმები განიხილეს, რომელთაც სათავეში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უდგას.

როგორც უწყებაში განმარტავენ, საუბარი შეეხო 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსაც. გენერალურმა მდივანმა ასევე, დადებითად შეაფასა საქართველოში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები.

„როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ყველაზე კომპლექსური არჩევნები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გაუმართავს, ის გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში. (ნიუსპოსტი)

# უგულავას და კობა სუბელიანს ახალ ბრალს წაუყენებენ?





„ალიას“ მთავარი პროკურატურიდან კულუარულად აცნობეს, რომ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავასა და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსის, კობა სუბელიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ახალი საქმე აღიძრა და სავარაუდოდ, ახლო მომავალში მათ ბრალს წაუყენებენ. შესაძლოა, ბრალი სუბელიანის ყოფილ მოადგილეს, ტარიელ ხიზანეიშვილსაც წაუყენონ, რადგან, როგორც წყარო ამბობს, გამოძიების მასალებში მისი გვარიც ფიგურირებს. საქმე ეხება კონტროლის პალატის მიერ, 2005-2006 წლებში მერიის კეთილმოწყობის სამსახურის შემოწმების აქტს. როდესაც ეს შემოწმება დასრულდა, კონტროლის პალატამ უამრავი კანონდარღვევა აღმოაჩინა და ეს დასკვნაშიც დააფიქსირა. იმ დროს კონტროლის პალატის შემოწმების მასალებს, ცხადია, „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ გრიფი „საიდუმლო“ დაედო. თუმცა, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც მასალების ერთი ნაწილი კონტროლის პალატამ პროკურატურაში გადაგზავნა. იმ დროს უგულავა თბილისის დანიშნული მერი იყო და არა – არჩეული. ამ პოსტზე „თავისუფლების ინსტიტუტის“, უშუალოდ კი გიგა ბოკერიას რეკომენდაციით მოხვდა. უგულავას მაშინ მაინცდამაინც დიდი პოლიტიკური წონა არ ჰქონდა და მისი დაჭერაც არ იქნებოდა ქვეყნის დაქცევა. თუმცა, ვანო მერაბიშვილმა და გიგა ბოკერიამ ბოლომდე უპატრონეს უგულავას. მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი დაარწმუნეს, რომ უგულავას დაჭერა „ნაცმოძრაობის“ იმიჯს დაარტყამდა და ამიტომაც ხელი არ არ ახლეს. შესაბამისად, კობა სუბელიანიც გადარჩა, რადგან ის უგულავას მითითებით მოქმედებდა. წყაროს თქმით, ადეიშვილისდროინდელი მასალები პროკურატურაში დარჩა და სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით აღძრულა სისხლის სამართლის საქმე.

ამ ეტაპზე გამოძიება გიგი უგულავასა და კობა სუბელიანს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას შეედავება. თუმცა, არ არის გამორიცხული, საქმე კიდევ ერთი – თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლითაც აღიძრას. „ალიასთვის“ ცნობილი გახდა საქმის მასალების რამდენიმე დეტალი.

საქმის ერთი ეპიზოდის თანახმად, 2005-2006 წლებში, მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა შეასრულა ათეულობით მილიონი ლარის ისეთი სამუშაო რომელიც კანონით არ ევალებოდა და მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. კერძოდ, ზუგდიდში შადრევანის აგებაში თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 292 ათასი ლარი დაიხარჯა, ამავე ზუგდიდში, დადიანების სასახლის ჭიშკარი 46 000 ლარი დაჯდა. გარდა ამისა, კობა სუბელიანის სამსახურმა, რეგიონების 20 სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში 380 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულა. მათ შორის, ბათუმში, მესტიაში, სიღნაღში, თელავში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, მცხეთაში და ა.შ. მერია აფინანსებდა სკოლების სარემონტო სამუშაოებს, რაც განათლების სამინისტროს კომპეტენციაში უხეში ჩარევა იყო. ეს კიდევ არაფერი. კეთილმოწყობის სამსახურმა დააფინანსა თბილისის ფოლკლორის ფესტივალი და ამ საქმეში 120 000 ლარი დახარჯა. რა შუაშია ფოლკლორი და კეთილმოწყობის სამსახური ერთმანეთთან, ამ კურიოზის განმარტება უგულავასა და სუბელიანს გამოძიებისთვის მოუწევთ.

თბილისის სხვადასხვა უბნებში გზის საფარის დაგებისა და აღდგენით სამუშაოების შესწავლისას, კონტროლის პალატამ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. მთელ რიგ შემთხვევებში, დასაგები საფარის რეალური მაჩვენებელი გაყალბებული იყო – ტერიტორიების მოცულობა ხელოვნურად იყო გაზრდილი. შესაბამისად, ასფალტის დასაგებად იმაზე მეტი თანხა დაიხარჯა ბიუჯეტიდან, ვიდრე რეალურად უნდა დახარჯულიყო. სარევიზიო ჯგუფმა 53 ასეთი შემთხვევა დააფიქსირა. საბოლოო ჯამში, საქმე რამდენიმე მილიონი ლარის გაფლანგვას ეხება. აქვე ფიგურირებს თბილისის ავტობანის ასაშენებლად და ასფალტის საფარის დასაგები ხარჯები. ამ შემთხვევაშიც, ტერიტორიის მოცულობა ხელოვნურად არის გაზრდილი და ბიუჯეტიდან რეალურზე მეტი თანხაა დახარჯული. აქაც რამდენიმე მილიონი ლარის გაფლანგვაზეა ლაპარაკი.

სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიების განაშენებიანებისა და საინჟინრო კომუნიკაციების მოსაწყობად დაიხარჯა 2 მილიონი ლარი. კონტროლის პალატის დასკვნაში კი სწერია, რომ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოები, სავარაუდოდ, 2 მილიონი ლარის ღირებულების არ არის. დანარჩენს კი პროკურატურა გაარკვევს.

გარდა ამისა, კონტროლის პალატამ, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერებსა და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც აღმოაჩინა დარღვევები. 2005 წელს ამ სამსახურმა 29 ტენდერი ჩაატარა, ხოლო 350 კონტრაქტი გააფორმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ამ 29 ტენდერიდან კონტროლის პალატამ კანონდარღვევით ჩატარებულად 12 მიიჩნია, ხოლო 350 ხელშეკრულებიდან – 60. შესაბამისად, მათი კანონიერების შესწავლა სამართალდამცავების საქმეაო, – წერია დასკვნაში. ჰოდა, შეისწავლეს კიდეც. 2006 წელს უფრო მეტი დარღვევაა აღმოჩენილი. ამ წელს კეთილმოწყობის სამსახურმა 123 ტენდერი ჩაატარა და 218 კერძო და იურიდიულ პირთან გააფორმა ხელშეკრულება. ამ 123 ტენდერიდან კონტროლის პალატამ უკანონობა 97 მათგანში აღმოაჩინა, ხოლო 218 ხელშეკრულებიდან 120, ასევე, კანონდარღვევით არის გაფორმებული. ცხადია, ყველა ამ შემთხვევის შესწავლა კონტროლის პალატამ სამართალდამცავებს სთხოვა.

ამ ეტაპზე „ალიასთვის“ მხოლოდ ეს ეპიზოდები გახდა ცნობილი. საბოლოო ჯამში, მერიის ბიუჯეტიდან 139 მილიონი ლარის გაფლანგვაზეა ლაპარაკი. სავარაუდოდ, ეს თანხა „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე ლიდერმა და მათთან დაახლოებულმა კომპანიებმა მიითვისეს ბიუჯეტიდან. ისინი აწარმოებდნენ იმ სამუშაოებს, რაც ჩამოვთვალე და რაც კიდევ მრავლად არის მითითებული კონტროლის პალატის დასკვნაში. „ალიასთვის“ ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, გამოძიებამ დასაქმების ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილის მეგობარი პაატა ტრაპაიძეც იმსხვერპლოს. პაატა ტრაპაიძის კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტი“, წლების მანძილზე მერიის ერთ-ერთი მსხვილი კონტრაქტორი იყო, ეს კომპანია თბილისში და არა მარტო თბილისში, გზების დაგება-რეაბილიტაციასა და სხვა სამუშაოებს ასრულებდა. იმ მასალებში, რომლებზე დაყრდნობითაც საქმე აღიძრა, „კავკასუს როუდ პროჯექტი“ ოცზე მეტ შემთხვევაში ფიგურირებს, მათ შორის, თბილისის ავტობანის მშენებლობისა და მოასფალტების საქმეში. შეგახსენებთ, რომ 139 მილიონი ლარი, რომლის გაფლანგვასაც გამოძიება ედავება უგულავასა და სუბელიანს, კონტროლის პალატის დასკვნის მხოლოდ ერთი ნაწილია, მასალების უდიდეს ნაწილს გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ღმერთმა უწყის, იმ მასალების მიხედვით კიდევ რამდენი მილიონია გაფლანგული თბილისის ბიუჯეტიდან.

„ალია“ მთავარ პროკურატურაში შეეცადა იმის გადამოწმებას, ნამდვილად არის თუ არა აღძრული სისხლის სამართლის ახალი საქმეები გიგი უგულავასა და კობა სუბელიანის წინააღმდეგ. პრესცენტრის თანამშრომელი, ნათია სუხიაშვილი შეგვპირდა, რომ დააზუსტებდა ინფორმაციას და დაგვიკავშირდებოდა, თუმცა, გუშინ საღამოს პროკურატურაში თათბირი იყო, რომელიც, სავარაუდოდ, გვიან დასრულდა და აღარ შეგვხმიანებია. თუ მთავარი პროკურატურა მოისურვებს ამ საკითხის შესახებ „ალიას“ საშუალებით კომენტარის გაკეთებას, ჩვენ მათაც მივცემთ ამის საშუალებას. „ალია“ გიგი უგულავასთან და კობა სუბელიანთან დაკავშირებასაც შეეცადა, გვაინტერესებდა, თავად თუ იცოდნენ საქმის აღძვრაზე რამე. უგულავასა და სუბელიანს „მესიჯები“ მივწერეთ, რის შესახებ გვსურდა მათი კომენტარი, მაგრამ მათ არც ამის შემდეგ უპასუხეს ჩვენს ზარებს.

**ხათუნა ელბაქიძე**

591 41-27-97

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რიკოთზე მეწყერის განმეორების ალბათობის გამო დამცავი კედელი მოეწყობა




საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით, რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე არსებობს მეწყერის განმეორების ალბათობა და აუცილებელია დამცავი კედლის მოწყობა.

დეპარტამენტის ცნობით, უღელტეხილზე გაწმენდითი სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს გეოლოგთა ჯგუფმა შეისწავლა რიკოთის უღელტეხილის 146-ე კმ-ზე კლდე-ზვავის ტიპის მეწყერის ჩამოწოლის მიდამოები.

„მათი შეფასებით, აღნიშნული უბანი განეკუთვნება მეწყერსაშიშ ზონას, სადაც რთული გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, არსებობს მეწყერის განმეორების ალბათობა. გეოლოგების დასკვნის შესაბამისად, მაღალი რისკის მქონე მიდამოებში აუცილებელია ტექნიკური ღონისძიებების გატარება; კერძოდ, დამცავი კედლის მოწყობა, რომელიც დაიცავს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთს მეწყრული ჩამონაშალისგან.

გეოლოგებმა დიდი დახრილობის მქონე ფერდობის თავზე მძიმე ტექნიკის შეყვანა და ხელოვნური საფეხურების შექმნა, მაღალი რისკის შემცველობის გამო, მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. აქედან გამომდინარე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამუშაოებს ფერდობის კალთის ძირში ახორციელებს. მოეწყო დროებითი დამცავი კედელი, რომლის უკანაც ხორციელდება მეწყრული ჩამონაშალის გამოტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზა შევიწროვდა, რამაც აუცილებელი გახადა სავალი ნაწილის გაფართოება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის მოწყობის სამუშაოები“, – ნათქვამია დეპარტამენტის ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რიკოთის უღელტეხილზე მეწყერი განმეორებით 17 ივნისს ჩამოწვა, რამაც გზის სავალი ნაწილის ჩაკეტვა და საავტომობილო მოძრაობის შეფერხება გამოიწვია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისში ავარიას 2 ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა




თბილისში, თამარ მეფის ხიდის ქვეშ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის თქმით, ერთმანეთს სამი მანქანა შეეჯახა, რის შედეგად ორ ქალბატონი გარდაიცვალა. (ნიუსპოსტი)

## მარნეულში განმეორებითი კენჭისყრა 29 ივნისს ჩატარდება




ცესკო-ს ინფორმაციით, მარნეულში გაუქმებულ უბნებზე განმეორებითი კენჭისყრა 29 ივნისს ჩატარდება.

„მედიასაშუალებებით გავრცელებული ვიდეოების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, გაუქმებულია მარნეულის ორი, №25 და №57 უბნის შედეგები. ამ ორ უბანზე 29 ივნისს გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა“, – განაცხადა ცესკოს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის 25-ე და 57-ე საარჩევნო უბნებზე გადაღებული ვიდეომასალა გამოაქვეყნა, სადაც დარღვევის ფაქტებია ასახული. (ნიუსპოსტი)

## „ჯიდიეს“-ის პრიზი ნინო ძოწენიძეს ერგო



„ჯიდიეს“-ის მუსიკალური პროექტის „ერთი ერთში“, მაყურებლის გადაწყვეტილებით, 45.9 პროცენტით ნინო ძოწენიძემ გაიმარჯვა. მომღერალმა ბოლო ტურზე „აეროსმიტის“ სოლისტის სტივ ტაილერის როლი მოირგო. პირველი ადგილის მფლობელმა დეველოპერული კომპანია „ვერტექსისგან“ „მთაწმინდა როიალ ეპარტმენტში“ გარემონტებული ბინა მიიღო.

მუსიკალური შოუს მეორე ადგილის მფლობელს ნათია დუმბაძეს საჩუქრად „ჰონდას“ მარკის ავტომობილი ერგო, ხოლო ლევან მასპინძელაშვილს, რომელიც მე-3 ადგილზე გავიდა, სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ 20 000 ლარი გადასცა.

მე-4 ადგილზე გასული ქეთი ორჯონიკიძე კაფელის სახლმა 10 000 ლარით დააჯილდოვა.

ნინო ძოწენიძე:



– მეუღლე – გიგა კუხიანიძე მეუბნება, დამსახურებულად მოიგეო. გიგა ყოველთვის კრიტიკულია და მისი შეფასება ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ბავშვი კი, გამარჯვებულად რომ გამომაცხადეს, ვერ მივხვდი, სიხარულისგან ტიროდა თუ იცინოდა.

ამ პროექტამდე შოუბიზნესზე ხელი ჩაქნეული მქონდა. ვამბობდი, არაფრის გაკეთება აღარ ღირს-მეთქი. შეიძლება ითქვას, ამ პროექტმა თავიდან აღმომაჩინა და დიდი სტიმული მომცა. რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა.

*newposts.ge; reitingi.ge*

## ავთანდილ ცქვიტინიძე რუსეთში ყველაზე წარმატებული ქართველი დიზაინერების სიაში ვერ მოხვდა



რუსულმა მოდურმა საიტმა „ბუორო 247“-მა, რომელიც წარმატებულ ქართველ დიზაინერებს თავის გვერდებს ხშირად უთმობს, ამჯერად იმ ქართველი დიზაინერების ერთგვარი რეიტინგი შეადგინა, რომელთა სახელებიც ყველამ უნდა იცოდეს.

– დაიმახსოვრეთ ეს სახელები, ეს დიზაინერები და მათი ბრენდები კიდევ გამოიჩენენ თავს, – წერს სტატიის ავტორი. მანამდე საზოგადოებას ახსენებს იმ დიზაინერებს, რომელთაც უკვე განთქმული აქვთ სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ და კონკრეტულად რუსულ ბაზარზე მათ წარდგენა არ სჭირდებათ – რია ქებურიას, ლადო ბოკუჩავას, ატელიე კიკალას და ბესარიონს.

უცნაურია, მაგრამ ცნობილ და წარმატებულ დიზაინერთა სიაში ავთანდილ ცქვიტინიძე ვერ მოხვდა.

მაშ ასე, 10 დიზაინერი, რომლებიც რეიტინგში აღმოჩნდნენ:

1. აკა ნანიტაშვილი
2. თამუნა ინგოროყვა
3. დათუნა სულიკაშვილი
4. ლელა ელოშვილი
5. ჩუბიკა – ნინო ჩუბინიშვილი
6. გალიფ გასანოვი
7. თამუნა ნიკოლაიშვილი
8. ლაშა მდინარაძე
9. ლაშა დევდარიანი
10. ალექსანდრე ახალკაციშვილი

*reitingi.ge*

## იუნა შაფათავა: „მთვრალ ქალებს ვერ ვიტან“



მსახიობი იუნა შაფათავა აცხადებს, რომ ტრადიციული სუფრის გაშლას ბავშვობიდან მიეჩვია, სასმელის მიღება კი ადრეულ ასაკში ბაბუამ შეაყვარა.

– ოჯახური ტრადიციები და გრძელ-გრძელი სუფრები... შეიძლება, სასაცილოა ჩემგან ტრადიციულობაზე საუბარი, მაგრამ ჩემში ეს დევს. ჩემს ასაკში ორივე ბებიას სამ-სამი შვილი ჰყავდა. ტრადიციული ოჯახები იყო. შეჩვეული ვარ სტუმრიანობას, დიდ სუფრას... პატარები რომ ვიყავით, ბაბუაჩემი ღვინოსაც გვასმევდა და კონიაკსაც, გვაჩვევდა – საჭიროაო, რომ გოგო მერე სადმე არ დათვრესო. გიჟივით კი ვთვრები, მაგრამ ვცდილობ, ზედმეტი არ მომივიდეს, რადგან მთვრალ ქალებს ვერ ვიტან“, – განუცხადა იუნა შაფათავამ „გზას“.



*pia.ge*

## როგორ დაიწყო ეკა ხოფერიასა და მიშა ხუჯაძის სიყვარულის ისტორია



ტელეწამყვანმა და ექიმმა 7 წლის წინათ იქორწინეს. ყველაფერი ერთი ცეკვით დაიწყო, რომელსაც მოკლე ტექსტური შეტყობინება და ვახშამზე დაპატიჟება მოჰყვა.

– ნინო შუბლაძის ქორწილში ეკა საცეკვაოდ გამოვიწვიე და ჩემზე უფიქრია, ვინ არის ეს მოცეკვავე და მომღერალი თავხედი ბიჭიო. მოკლედ, ჩემზე საშინელი წარმოდგენა შეექმნა, – განაცხადა მიშა ხუჯაძემ „სარკესთან“.

ურთიერთობის დაწყების შესახებ ტელესახემაც ისაუბრა.

– მაშინ „რუსთავი 2“-ში ვმუშაობდი და ნინოს ქორწილში დაგვიანებით მივედი. ჩემს კოლეგებთან ერთად დავჯექი. მიშა ცოტა ბახუსში რომ შევიდა, მოვიდა და მითხრა, თუ შეიძლება, რომ გეცეკვოთო. ვეცეკვე, მაგრამ ცეკვის დროს ჩემი ბზრიალი დაიწყო და ხელით ვანიშნე, რომ აღარ მინდოდა ცეკვა... მერე მოხდა ისე, რომ მიშასთან მეგობრებს უთქვამთ, რა საშინლად მოექეცი ხოფერიას, ჰაერში რომ ატრიალეო. მეგობრებმა აშკარად გადაამეტეს, მაგრამ მან იფიქრა, რომ ჩემთვის უნდა მოებოდიშებინა და ესემესი გამომიგზავნა, – განუცხადა ეკა ხოფერიამ „სარკეს“.

*pia.ge*

## რის გამო მოხვდა მაკა შალიკაშვილი საპყრობილეში



მსახიობი ერთ-ერთ კოლონიაში არასრულწლოვნებთან შეხვედრას იხსენებს და აცხადებს, რომ „ისეთი სევდიანი და „ღრმა“ თვალები არსად უნახავს“.

– რამდენიმე დღის წინ ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ვიყავი; სხვა მსახიობებთან და მომღერლებთან ერთად, პატიმრებს ერთი ლამაზი საღამო ვაჩუქე. თავისუფლება ძალიან მიყვარს, იქ კი თავისუფლებაწართმეული ადამიანები ცხოვრობენ. საპყრობილეში რომ შევედი და ჩემ უკან კარი დაიხურა, ამაღელვებელი მომენტი იყო. ტირილი მომინდა და ეკლესიაში შევედი, რადგან არ მინდოდა, პატარა მსჯავრდადებულებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ისეთი სევდიანი და „ღრმა“ თვალები არსად მინახავს... რომ გამოვდიოდი, მოაჯირზე გადმოდგნენ. გული დამწყდა, ისინი იქ რომ დავტოვე. თავიდან შორიდან მიელიდნენ. ეს რომ ვიგრძენი, დავუძახე. ყველას დალაპარაკება, საკუთარი ტკივილის გაზიარება უნდოდა. ნანახმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, – განუცხადა მაკა შალიკაშვილმა „გზას“.

*pia.ge*

## რატომ მოხდა უთანხმოება მზია ორველაშვილსა და ლევან ჩიჩუას შორის?



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი მონაწილე ლევან ჩიჩუა, იგივე თიელი აცხადებს, რომ ცეკვა მისთვის რთული საქმეა. პროექტში კი მისი პარტნიორი საკმაოდ მომთხოვნია.

– პირველი უთანხმოება მზია ორველაშვილთან პირველსავე რეპეტიციაზე მოხდა: ის ჩემგან ცეკვის სხვადასხვა მოძრაობის გაკეთებას პროფესიულ დონეზე ითხოვდა. არადა, პროფესიონალი არ ვარ, ჩემთვის ცეკვა ახალი და რთული საქმე იყო. უბრალოდ, ვსწავლობდი... 19-20 წლის ვიყავი, როცა მუსიკის „კეთება“ დავიწყე და არაფერი გამომივიდა, ისეთი პროდიუსერი ვერ ვიპოვე, ვინც „ხელს მომკიდებდა“. თან არავის სჯეროდა, ჩემი დაწერილი რომ იყო, რამდენიმე წელი დამჭირდა, ჩემი მუსიკით ვიღაც რომ დაინტერესებულიყო. იმედი არასოდეს დამიკარგავს, – განუცხადა ლევან ჩიჩუამ „გზას“.

*pia.ge*

## ცოლთან დაშორებულმა ერეკლე დეისაძემ ახალი სიყვარული იპოვა – „ეს თემა დედაჩემს აღარ აინტერესებს“



სკანდალური ერეკლე დეისაძე რამდენიმე თვეა, რაც ცოლს – კრავაი ტყემალაძეს დაშორდა, ორი დღის წინ კი სოციალურ ქსელში სტატუსი გამოაქვეყნდა, რომ თავს შეყვარებულად გრძნობდა.

ერეკლე დეისაძე:

– ცოლთან დაშორებაზე რატომ უნდა მკითხოთ ჟურნალისტებმა, არ გკიდიათ? ეს თემა დედაჩემს აღარ აინტერესებს. ჟურნალისტებსა და ხალხს რატომ აინტერესებს, ვერ ვხვდები. დამისვით კითხვები კლიპზე, რომელიც გავაკეთე და კონცერტზე. განშორებაზე რატომ უნდა გქონდეთ კითხვები, ვერ ვხვდები... სახელსა და გვარს ვერ გეტყვით. ერთი კარგი გოგოა.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– კოტე, მოეთრიე აქ!
– ჰო, მამ...
– კამასუტრა შენ აიღე?
– კი.
– და შენ დაამატე რამე ნახატი?
– ჰო, რა იყო?
– ჰოდა, მოდი ახლა და დამეხმარე დედაშენის გასწორებაში!..

*****

ორი მეგობარი საუბრობს:
– რატომ ხარ ასეთი მოღვენთილი?
– რა ვიცი, ცოლს ვეჩხუბე და...
– რატომ?
– რატომ და ვერაფრით შევთანხმდით, სად გავატაროთ შვებულება.
– და პრობლემა რაშია, თუ დასასვენებელი ფული გაქვთ?
– კაცო, მე მინდა, რომ გერმანიაში წავიდე, მას კი ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა!..

*****

პატრულმა სატვირთო ავტომობილი გააჩერა:
– კაცო, შენ რა, ადამიანის ენა არ გემის? უკვე მესამედ გაჩერებ და გეუბნები, რომ შენი მანქანის ძარიდან რაღაც ცვივა-თქო!
– ვაახ, კაცო, ეს შენ არ გესმის ადამიანის ენა! თუ გინდა, მეასედ გამაჩერე, მაინც გაგიმეორებ: ზამთარია! ცივა! ყინავს! გზაზე მარილს ვყრი, მარილს!!!

*****

მონადირეები სხედან, სვამენ. ერთი მეორეს:
– მელიის ისე მოკვლის ხერხს მივაგენი, რომ ტყავი საერთოდ არ უზიანდება – ზაზუნასთან ერთად დავიწყე მასზე ნადირობა?
– როგორ?
– მოკლედ, ყიდულობ ზაზუნას, მიგყავს ტყეში, აძლევ ერთ ბოთლ არაყს და უშვებ მელიასთან სოროში... 15 წუთში, როცა გარეთ მოსაწევად გამოვლენ...

*****



შუაღამისას შვილი დედას აღვიძებს:
– დედა, მიდი რა, წყალი მომიტანე.
– ადექი და შენ თვითონ დალიე!
– აუ, მიდი რა, მომიტანე, ძალიან მწყურია.
– თუ არ მოკეტავ, ქამრით გაგტყიპავ!
– ჰოდა, ქამრის ასაღებად რომ ადგები, წყალიც გამოიყოლე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## პოლიციელებმა დაპატიმრებულ გოგონას სტრიპტიზი აცეკვეს



რაღა უჭირთ პოლიციელებს – ადამიანების ცემა-ტყეპა-დახოცვაც ხახვივით რჩებათ და შიგადაშიგ უფასო სტრიპტიზსაც იღებენ...

მართალია, ამ შემთხვევაში, ქართველ სამართალდამცველებზე არ გვაქვს საუბარი, მაგრამ პოლიციელი ყველგან პოლიციელია: დაუნდობელი და სხვისი ბედით მოთამაშე.

ინციდენტი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში მექსიკაში მომხდარა, თუმცა იქაურმა მედიამ ფაქტი მხოლოდ ახლაღა გამოააშკარავა.

როგორც ირკვევა, გოგონა თავის შეყვარებულთან ერთად 15-მა პოლიციელმა მექსიკის ქალაქ ტიხუანში საკრედიტო ბარათების მოპარვის ბრალდებით დააკავა.

განყოფილებაში მისვლის შემდეგ, სამართალდამცველებს, როცა ექვმიტანილს კარგად შეავლეს თვალი, ერთი მამაძაღლური იდეა გაუჩნდათ – შეყვარებულთან ერთად სახლში გაშვების სანაცვლოდ გოგონას სტრიპტიზის ცეკვა შესთავაზეს.

დაკავებული წინადადებას დასთანხმდა, რაც იმით მტკიცდება, რომ მექსიკურმა მედიამ მისი ცეკვის ამსახველი ფოტოები მოიპოვა.

როგორც ამბობენ, ამ დროისთვის საქმეში გარეული ყველა პოლიციელი სამსახურიდან გაშვებულია და გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა სამართალდამცველების პასუხისმგებლობაში მიცემის იმედი არავის აქვს.

მოკლედ, პოლიციას ყველაფერი ხახვივით რჩება და იმიტომაცაა, რომ ყველანაირ უკანონობას დიდი ფიქრის გარეშე სჩადიან.

***gazeta.ua***



## პოლიციელის დაპატიმრების მიზეზი პრეზიდენტის... ტუალეტით სარგებლობა გახდა

ეს უცნაური ამბავი ზიმბაბვედან ვრცელდება, სადაც პოლიციის სერჟანტი ალოისა მაბჰუნუ კოლეგებმა მხოლოდ იმის გამო დააპატიმრეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ტუალეტით ისარგებლა.

თურმე, ზიმბაბვეს პირველი პირისთვის რობერტ მუგაბესთვის პერსონალური ტუალეტი იმ შენობაში იყო გამოყოფილი, სადაც ვაჭრობის საერთაშორისო გამოფენა მიმდინარეობდა. კრიმინალური პოლიციის დეტექტივი მაბჰუნუც სწორედ ამ შენობაში მორიგეობდა, როცა ბუნებრივმა მოთხოვნილებამ შეაწუხა. ტუალეტის კარის შესასვლელში ის დაცვამ შეაჩერა, თუმცა პოლიციელი აკრძალვას არ დაემორჩილა და სურვილი დაიკმაყოფილა.

მომხდარის შესახებ დაცვამ მაშინვე აცნობა უსაფრთხოების სამსახურს, რის შემდეგაც ალოისა მაბჰუნუ დააპატიმრეს კიდეც.

რა ბედი ელის პოლიციელს, აღარ ზუსტდება, თუმცა გეტყვით იმას, რომ ზიმბაბვეს პრეზიდენტის სახელს კიდევ არაერთი ინციდენტი უკავშირდება. მაგალითად, გარკვეული პერიოდის წინ მისი დაცვის წევრებმა ავტომობილისტებს, რომლებმაც ქვეყნის პირველ პირს გზა არ დაუთმეს, სროლა აუტეხეს. შედეგად რამდენიმე ადამიანი ადგილზე დაიღუპა.

***lenta.ru***

## უცნაური ფობია – გოგონას... ტუალეტის ქაღალდის პანიკური შიში გაუჩნდა



ადრე უკვე ბევრჯერ გვაქვს მოყოლილი ყველაზე უცნაური ფობიების შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია არა მხოლოდ უცნაურზე, არამედ უიშვიათეს პანიკურ შიშზე, რომელიც ტუალეტის ქაღალდს უკავშირდება.

როგორც ირკვევა, ეს უცნაური ფობია 18 წლის ფობე ტანს დაუდგინდა, რომელიც დიდი ბრიტანეთის ქალაქ მეიდსტოუნში ცხოვრობს.

საკმარისია, გოგონამ ტუალეტის ქაღალდს თვალი მოჰკრას, რომ პანიკა ემართება და მის დამშვიდებას ძალიან დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

რაც ყველაზე მთავარია, გოგონას შიში მხოლოდ სახლის პირობებში აპანიკებს, საზოგადოებრივ ტუალეტებში შესვლისას კი ჰიგიენურ ქაღალდს ჩვეულებრივად მოიხმარს.

მედიკოსებმა ფობე ტანის მკურნალობის მეთოდი დიდი ხნის ფიქრის მიუხედავად, ვერაფრით გამოიგონეს.

***mignews.com***

## მობილური ტელეფონების დასატენად... ბიკინი



ჩაახველეთ, გამბედაობა მოიკრიბეთ და ბიკინიან გოგონას მოკრძალებით სთხოვეთ: „ჩემი მეგობრის დახმარება თქვენს ბიკინში იმალება და იქნებ, უარი არ მითხრათ?“..

თუკი ამ ზრდილობიანი თხოვნის პასუხი ალიყური იქნება, იცოდეთ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ და პრეტენზიებით ებრაელ გამომგონებლებს მიმართეთ.

დიახ, სწორედ ებრაელმა გამომგონებლებმა შექმნეს უნივერსალური საცურაო კოსტიუმი „იკინი“ („ბ“ ჩაუყლაპავთ), რომელიც ჩვეულებრივი ბიკინისგან განსხვავებით, მცირე ზომის მზის ელემენტებისგან შედგება. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ენერგიის აკუმულირება, შემდეგ კი მობილური ტელეფონების, ვიდეოკამერების, ემპე3-პლეერების და სხვა მცირე ზომის ელექტრო ტექნიკის დატენა.

თურმე, იდეის ავტორი ენდრიუ შნაიდერი დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდა, შეექმნა რაიმე განსაკუთრებული და ეგზოტიკური ალტერნატიული ენერგიის წყარო, რაც, დაგვეთანხმებით, შეძლო კიდეც.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ ხდება ბიკინით ტექნიკის დატენა? ახლავე მოგახსენებთ: აკუმულირებული ენერგია მობილურებში, კამერებში და ასე შემდეგ, უესბე-პორტით გადადის, მეტი არაფერი.

ბიკინის ფასი 200 აშშ დოლარია, მისი შემქმნელი კი აპირებს, უახლოეს მომავალში შექმნას მამაკაცების პლაჟის შორტები, რომლებსაც ანალოგიური შესაძლებლობა ექნებათ მიღებული.

***cursorinfo.co.il***

## ფუტკრის ნაკბენი სასარგებლოა?



თუკი მოხდა ისე, რომ ფუტკარმა გიკბინათ, არ ინერვიულოთ და არ შეშინდეთ, რადგან, როგორც ირლანდიელი ბიოქიმიკოსები განმარტავენ, ფუტკრის შხამი შეიცავს ნივთიერებას, სახელწოდებით მელიტინს, რომელიც ბაქტერიების გარსის განადგურებას უწყობს ხელს.

სამწუხაროდ, ერთი პრობლემა მაინც არსებობს – თურმე, ფუტკრის შხამი შეიცავს ორი სახის ნივთიერებას, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ ბაქტერიების, არამედ ადამიანის ერითროციტების გარსის განადგურებაც.

– როდის როგორ, – ასეთია ირლანდიელების პასუხი, თუმცა ისინი ირწმუნებიან, რომ მუშაობენ ისეთი ჰიბრიდული ნივთიერების შექმნაზე, რომელიც შევა ფუტკრების კვების რაციონში და მათ ერითროციტებზე უარყოფითი გავლენის მოხდენაში ხელს შეუშლის.

***myjane.ru***



## ფინელი დიპლომატები საუნის სიყვარულის გამო... დააჯილდოვეს

ვაჰ, კაცო, ვითომ, ქართველები ვართ ძალიან თეფქებადები და ჩინოვნიკებს ქალებში ძრომიალის გამო მარტო ჩვენ „ვუჩმახებთ“?

ისე, ეს „გაჩმახება“ მაგათ სულაც არ ადარდებთ, მაგრამ ჩვენ ხომ მაინც ვიშლით ნერვებს, არა?

აი, რაც შეეხებათ ფინელებს, იქ პირიქითაა ყველაფერი და ჩინოვნიკებს საუნებში სიარულ-სიყვარულისთვის ჯილდოებსაც ურიგებენ ხურმის ჩირივით.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფინური საუნის მოყვარულთა საზოგადოების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი მიიღო, რომელიც დიპლომატებმა საუნის მიმართ სიყვარულისა და მისი პროპაგანდის გამო მიიღეს.

ქვეყნის საგარეო უწყება აღიარებს, რომ ჩინოვნიკებს მართლაც ძალიან უყვართ საუნაში სიარული, სადაც ხშირად, სხვა სახელმწიფოების ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებენ.

– საუნა ფინური დიპლომატიის განუყოფელი ნაწილია მთელ მსოფლიოში. საუნა იდეალური ადგილია მშვიდობაზე ზრუნვისთვის, მეგობრული ურთიერთობის გაბმისთვის და მოლაპარაკებებისთვის, – ამბობენ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ცნობილია ისიც, რომ ფინეთის პრაქტიკულად ყველა საელჩოს სხვადასხვა ქვეყანაში საუნა აუცილებლად აქვს გამოყოფილი. მათ შორის, ავღანეთსა და ჩადის რესპუბლიკაშიც.

გამოდის, რომ ქართველებს გვაქვს საუნა მხოლოდ სექსის ადგილად გადაქცეული, თორემ, აგერ, ხალხი იქ მშვიდობასა და მეგობრობაზე ფიქრობს თურმე...

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მეფედ კურთხევა
2. ვეტერინარი, ანუ ...
3. ალთქმული ქვეყანა პერუში
4. მისი დედაქალაქია ოტავა
5. „ილიადა“ ავტორი
6. კონდახიანი მშვილდისარი
7. უუფლებო ადამიანი
8. სულხან-საბა ...
9. იტყვიან ჩვილ ბავშვზე
10. თაფლიანი ნამცხვარი
11. ქალის პირბადე
12. გადაშენებული გიგანტ. ხვლიკი
13. წელი-წადის დრო
14. მეფის სასახლე ესპანეთში
15. შოლოხოვი. „წყნარი ...“
16. რძის პროდუქტი
17. ბოლოკის სახეობა
18. ხორბლის ჯიში
19. პროვინცია ესპანეთ-ში
20. მოსაწევად დახვეული თამბაქო
21. ნახ. კუნძული აზიაში
22. სვეტის ფორმის მეგლი
23. „საქორწილო“ ავტომობილი
24. პოეტი ... ასათიანი
25. რასელ კროუ ფილმში
26. თმის დალალი
27. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
28. მსახიობი ... სტრიპი
29. ქართ. ხალხური ზღაპარი
30. ჰიპოკრატეს ...
31. მომღერალი ზურაბ ...
32. ... პუგაჩოვა
33. ტბა ფოთთან
34. მდინარე რომში
35. მწვანე მინერალი
36. ზაფხულის თვე
37. პოლიტიკოსი ფრიდრიხ ...
38. დაესმის ზედსართავ სახელს
39. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა
40. დიამეტრის ნახევარი
41. მსახიობი ბარბარა ...
42. სახედარი
43. ლონდონის ცენტრი
44. აცტეკების დედაქალაქი
45. წყლის გრაციოზული ფრინველი
46. მსახიობი ... კრამაროვი
47. მომღერალი მარლ ...
48. მსახიობი ენდი ...
49. ყველაზე რბილი მინერალი
50. ბულგარული ფულის ერთეული
51. „შეხვედრა მინოტავრ-თან“ ავტორი ძმები ...
52. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
53. პატარა ფრინველი
54. მსახიობი ... ვენტურა
55. ისრაელის დედაქალაქი
56. მსახიობი მიშელ ...
57. ზოდიაქოს ნიშანი
58. მდ. სანკტ-პეტერბურგში
59. ხის ჯიში
60. ცხენებშებმული ტრამვაი
61. შხამიანი ხე
62. კავშირი, გაერთიანება
63. ერნესტო ... გევარა
64. ვირის ნაშიერი
65. ადამიანისმსგავსი მაიმუნი
66. რეჟისორი კვენტინ ...
67. გედის კისრის ბუმბული
68. საველე სავადმყოფო
69. ფრინველი თბილისის ლეგენდიდან
70. კომპოზიტორი ფერენც ...
71. ქალაქი შიდა ქართლში
72. მსახიობი ... საკანდელიძე
73. საიუველირო ქვა
74. ჰომერ სიმფსონის ვაჟი ... სიმფსონი (მულტფილმი-დან)
75. ბიბლიური მოსეს ძმა
76. ... შახნაზაროვი
77. კურორტი თურქეთში
78. შხამ. ამზადებენ ინდიელები
79. ნაგებობა მდინარეზე
80. მსახიობი რიჩარდ ...
81. მსახ. კეტრინ ...-ჯონსი
82. „მონადირე“ ფოტოგრაფი
83. ანტილოპას სახეობა
84. „კავკასიური ცარცის წრე“ იზა გიგოშვილის გმირი
85. მსახიობი ალბერ ...
86. პალმის ნაყოფი
87. ქალაქი რაჭაში
88. კუნძული ატლანტის ოკეანეში
89. პერუს დედაქალაქი
90. მწერალი ლევან ...
91. სამაგიდო თამაში
92. ხის ჯიში
93. პოეტი ... აბაშიძე
94. მსახიობი ... თბილელი
95. მსახიობი ... სუეიზი
96. ექიმი. შეის-წავლა ჩიყვი
97. ჩეხური ავტომობილი
98. მდინარე ინდოეთში
99. ვერდის ოპერა
100. ყურძნის ჯიში
101. ყვავილი
102. სკოლის მმართველობა
103. „... გრძელი წინდა“
104. ჟურნალისტი ინგა ...
105. ბუვიეს რომანი
106. „... კარენინა“
107. ციხესიმაგრე კახეთში
108. მსახიობი იულ ...
109. არქიტექტურული სტილი
110. თეატრალური ქუჩა ნიუ-იორკში
111. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
112. მსახიობი მაკოლეი ...
113. მოჭადრაკე ... კასპაროვი
114. ვაქცინაცია
115. აორტის ანთება
116. ლუდის მასალა
117. ქმედება ალალბედზე
118. ღმერთი სკანდინ. მითებში
119. მეკარე ... იაშინი
120. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
121. „... ჩამოვიდნენ მთიდან“
122. მხ/ფ „კარგი, ცუდი, ...“
123. ... შრომა, მერე ხტომა
124. ფირმა „...-პარი“
124. ტბა თბილისში
125. მწერალი ჟიულ ...
126. ცხაური ფქვილისათვის
127. შხამიანი გველი
128. გაზაფხულის თვე
130. ხილფაფა
131. ... კიხოტ ლამან-ჩელი
132. სასიმინდე
133. სამზარეულოს ჭურჭელი
134. მწვანილი
135. ბილიარდის ჯოხი
136. ყვავილი
137. მესია ... ქრისტე
138. მსახიობი ... რიშარი
139. ქრისტეს მოწაფე
140. ... მორჩილაძე

პასუხები: 1. კორონაცია; 2. ბეითალი; 3. ელდორადო; 4. კანადა; 5. ჰომეროსი; 6. არბალეტი; 7. მონა; 8. ორბელიანი; 9. თოთო; 10. იდეალი; 11. მანდილი; 12. დინოზავრი; 13. ზამთარი; 14. ალკაზარი; 15. დონი; 16. დო; 17. თალგამი; 18. იფქლი; 19. მალაგა; 20. სიგარა; 22. ობელისკი; 23. ლიმუზინი; 24. „გლადიატორი“; 26. კულული; 27. გალაპაგოსი; 28. მერილ; 29. „ცეროდენა“; 30. ფიცი; 31. სოტკილავა; 32. ალა; 33. პალიასტომი; 34. ტიბრი; 35. მალაქიტი; 36. აგვისტო; 37. ენგელსი; 38. როგორი; 39. სუვერენიტეტი; 40. რადიუსი; 41. ბრილსკა; 42. ვირი; 43. სიტი; 44. ტენოჩტიტლანი; 45. გედი; 46. საველი; 47. აზნავური; 48. გარსია; 49. ტალკი; 50. ლევი; 51. ვაინერები; 52. მარიონეტი; 53. ნარჩიტა; 54. ლინო; 55. იერუსალიმი; 56. მერსიე; 57. ვერძი; 58. ნევა; 59. მუხა; 60. კონკა; 61. ანჩარი; 62. ლიგა; 63. ჩე; 64. ჩოჩორი; 65. ორანგუტანგი; 66. ტარანტინო; 67. გერმა; 68. ლაზარეთი; 69. ხოხობი; 70. ლისტი; 71. გორი; 72. კარლო; 73. მარგალიტი; 74. ბარტ; 75. აარონი; 76. კარენ; 77. ანტალია; 78. კურარე; 79. რაბი; 80. გირი; 81. ზეტა; 82. პაპარაცი; 83. გნუ; 84. გრუშე; 85. ფინი; 86. ფინიკი; 87. ონი; 88. გრენლანდია; 89. ლიმა; 90. გოთუა; 91. ნარდი; 92. ტირიფი; 93. ირაკლი; 94. მარინე; 95. პატრიკ; 96. ბაზედოვი; 97. „ტატრა“; 98. განგი; 99. „რიგოლეტო“; 100. თითა; 101. ვარდი; 102. დირექცია; 103. პეპი; 104. გრიგოლია; 105. „იზა“; 106. ანა; 107. გრემი; 108. ბრინერი; 109. როკოკო; 110. ბროდვეი; 111. დალაი; 112. კალკინი; 113. გარი; 114. აცრა; 115. აორტიტი; 116. ალაო; 117. რისკი; 118. ოდინი; 119. ლევ; 120. დევი; 121. ისინი; 122. ბოროტი; 123. ჯერ; 124. ისი; 125. ვერნი; 126. საცერი; 127. ეფა; 128. მაისი; 129. ლისი; 130. ჯემი; 131. დონ; 132. ნალია; 133. ტაფა; 134. კამა; 135. კიი; 136. ია; 137. იესო; 138. პიერ; 139. იუდა; 140. აკა. იკითხება: ნოდარ დუმბაძე.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



# ამერიკელებმა: კარგად გინდათ იყოთო? მიწა ჭამეთო...

მიწაც ჭამონ და ცხელი ტყვიაც ეცეთ გულში? არა, მთლად ასე რადიკალურები ნუ იქნებით და ჯერ კარგად მოგვისმინეთ, რა უნდა გითხრათ, რამ გადაგრიათ ასე უცბად?

მიშა შეჭამეთო, ამერიკელებმა იმიტომ გვითხრეს... არა, მიშა კი არა, მიწა, კაცო, ეს „შ" და „წ" სულ გვერევა ხოლმე, რა...

მოკლედ, დავიწყეთ და აღარ შეგვეშლება: მიწა შეჭამეთო, ამერიკელი მეცნიერები იმიტომ გვეუბნებიან, რომ თურმე, ამით ორგანიზმის პარაზიტებისგან და ტოქსინებისგან დაცვა ყოფილა შესაძლებელი.

როგორც უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, მიწის ჭამა პოზიტიურ გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე.

ეს დასკვნა ნიუ-იორკის კორნელის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიტანეს, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ზოგიერთ ტრადიციულ კულტურაში ფართოდ არის გავრცელებული გეოფაგია, ანუ მიწის ჭამა. ასევე, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა პატარა ბავშვები მიწას ყლაპავენ ხოლმე.

რატომ ხდება ასე და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მიწის შეჭმამ, ამერიკელებმა სწორედ ამის დადგენა სცადეს მეცნიერულ კვლევაში და როგორც გითხარით, გადასარევი შედეგიც მიიღეს.

კერძოდ, ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ორგანიზმისთვის მიწამ შეიძლება ერთგვარი დამცავი ფარის ფუნქცია შეასრულოს და იგი მავნე პარაზიტებისგან და მცენარეული ტოქსინებისგან დაიცვას.

კვლევის ავტორები იმასაც ამბობენ, რომ გეოფაგიის შესახებ პირველი ინფორმაცია ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს ჰქონდა მოძიებული, რომელიც რამდენადაც ცნობილია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 460 წელს ცხოვრობდა. ახლა კი მიწის ჭამისგან მიღებული დადებითი თვისებები თანამედროვე მეცნიერებამაც დაამტკიცა და თუკი გსურთ, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მიწა ჭამეთ, ოღონდაც, ცოტ-ცოტა...

***medkarta.com***

# უცხო ენების ადრეულ ასაკში შესწავლას ენაბლუობა მოჰყვება?



არ შეიძლება, ეს ოხერი, ადამიანისთვის ტვინში ცოდნის ძალით ჩადება და ვერ გაიგო ამ ხალხმა, ვერა!

თუ არ გჯერათ, ჩვენ გაგვატარეთ და მოგვისმინეთ მაინც – ბევრი მშობელი ყველანაირად ცდილობს, საკუთარ შვილზე განათლების მიღების ახალ-ახალი მეთოდები გამოსცადოს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კი ბავშვისთვის ერთ ენაზე მეტის შესწავლის მცდელობაა.

და იცით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ბავშვის ასეთ დატვირთვა-გადატვირთვას? არ იცით, არა? აი, მაგაშია საქმე!

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძალიან დიდია ალბათობა, ადრეულ ასაკში რამდენიმე ენის შესწავლას ენაბლუობა მოჰყვეს.

აღნიშნულ საკითხთან ჩატარებულ კვლევაში რამდენიმე ასეულმა 8-10 წლის მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

აღმოჩნდა, რომ 22 პროცენტს ენაბლუობის პრობლემა აწუხებდა, რის მიზეზადაც სწორედ ერთდროულად რამდენიმე ენის შესწავლა დასახელდა.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ ვაჟებში ენაბლუობის პრობლემა 4 პროცენტით ხშირი იყო.

ზუსტად რა იწვევს ამ საკმაოდ სერიოზულ უსიამოვნებას, კვლევის ავტორები ჯერჯერობით პასუხს ვერ იძლევიან, თუმცა მშობლებს ურჩევენ, რომ მცირეწლოვანი შვილების ტანჯვისგან თავი მაქსიმალურად შეიკავონ. დრო, როცა ისინი განათლების მიღების პროცესში თავ-ფეხიანად ჩაეშვებიან, ისედაც დადგება.

***tehno-med.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

# ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**20 ივნისი:** დღეს ძალიან სასიამოვნო გრძნობებით იქნებით აღვსილი. უარყოფითი ემოციები ახლოსაც არ გაიკაროთ და ეს დღე თქვენს ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება.

***კურო 22.04-21.05***

**20 ივნისი:** ღია კარის მტვრევას რა აზრი აქვს? სანამ პანიკაში არ ჩავარდებით, სიტუაციაში კარგად გაერკვიეთ.

***ტყუპები 22.05-21.06***

**20 ივნისი:** სხვათა შეცდომების გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აიღოთ, რადგან თქვენ უფრო მეტად მოგთხოვენ პასუხს, ვიდრე ნამდვილ დამნაშავეებს.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**20 ივნისი:** ყველაფერი უნდა იღონოთ, რომ ეს დღე სევდიან ნოტაზე არ დაასრულოთ. გარდა ამისა, დრო გამოძებნეთ და მომავალი დღეების გეგმები კარგად გაიაზრეთ.

***ლომი 23.07-22.08***

**20 ივნისი:** შეიძლება სწორი არჩევანი გააკეთეთ, მაგრამ ამაში ვერ დარწმუნდებით, სანამ არჩეული მიმართულებით მოძრაობას არ დაიწყებთ.

***ქალწული 23.08-22.09***

**20 ივნისი:** შეეცადეთ, გონება მოიწესრიგოთ – აზრები დაალაგეთ, დღეს საღი აზროვნება დაგჭირდებათ, რადგან არაორდინარული ამოცანის გადაწყვეტა მოგიწევთ.

***სასწორი 23.09-22.10***

**20 ივნისი:** სიტუაცია, რომელშიც მოხვდებით, ბუნდოვანი იქნება. სანამ ნათელი წარმოდგენა არ შეგექმნებათ, რა ხდება, არ გარისკოთ და აქტიური მოქმედებები არ დაიწყოთ.

***მორიელი 23.10-21.11***

**20 ივნისი:** კარგი დღე უნდა იყოს. წარმატებით გაართმევთ თავს საქმეებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ გადადეთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**20 ივნისი:** პრობლემამ, რომელსაც დღეს წააწყდებით, შეიძლება მთელი დღე წაგართვათ. მასთან გამკლავება მარტო მოგიწევთ, რადგან ამ საქმეში ვინმეს ჩართვა გეგმებს აგირევთ.

***თხის რქა 22.12-19.01***

**20 ივნისი:** თქვენი პარტნიორი ყველანაირად ეცდება, გასიამოვნოთ, რაც ნამდვილად სასიხარულოა. გელით საჩუქარი ან აღმაფრთოვანებელი სიახლე. მომავალს ოპტიმიზმით შეხედავთ.

***მერწყული 20.01-18.02***

**20 ივნისი:** თავისუფლება მოგინდებათ და ამის გამო, შეიძლება დაკავებული პოზიციების დათმობაზე იფიქროთ. კარგად დაფიქრდით, მერე სანანებელი არ გაგიხდეთ.

***თევზები 19.02-20.03***

**20 ივნისი:** დღეს გაუაზრებლად სათქმელ სიტყვებს დროულად შეიკავებთ, ან რამე შეცდომას გამოასწორებთ. მოკლედ, გარშემომყოფებთან ურთიერთობებს გაიუმჯობესებთ.

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

**ანაზღაურება 800 ლარიდან**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

# კიბოს მიზეზი... სტრესი და დეპრესია



შეიძლება თუ არა იყოს რაიმე კავშირი კიბოსა და ბევრ ნერვიულობას შორის? ებრაელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, კავშირი არსებობს და თანაც ძალიან სახიფათო.

დევიდ ბენ-ჰურიონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ, რაც უფრო რთული და სტრესულია ქალის ყოველდღიური ცხოვრება, მით უფრო იზრდება მკერდის კიბოს გაჩენის რისკი.

კვლევის ფარგლებში ებრაელმა სპეციალისტებმა 45 წლამდე ასაკის რამდენიმე ასეული ქალის მდგომარეობა შეისწავლეს, რომლებსაც მკერდის კიბოს დიაგნოზი ჰქონდათ დასმული. შემდეგ ეს მონაცემები იმავე ასაკის ჯანმრთელი ქალების მდგომარეობასთან იქნა შედარებული.

შედეგად დადგინდა, რომ კიბოთი დაავადებული პაციენტების აბსოლუტურ უმრავლესობას დიდი უბედურება ჰქონდა გადატანილი. ციფრებში თუ გადავიტანთ, სტრესი და დეპრესია ქალების კიბოთი დაავადების რისკს მთელი 62 პროცენტით ზრდის.

***myjulia.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქერა ქალმა ექიმთან მიირბინა:

– მიშველეთ, ექიმო, ბზიკმა მიკბინე!

– არა უშავს, ახლავე მაზით დავამუშავებთ.

– კი, მაგრამ როგორ? ბზიკი უკვე გაფრინდებოდა სადღაც ჯანდაბაში!

– არა, ბზიკს კი არა, იმ ადგილს დავამუშავებთ, სადაც გიკბინათ.

– ააა, გასაგებია... პარკში ვიჯექი სკამზე, ხის ქვეშ.

ექიმი გაგიჟების პირასაა...

– არა, გენაცვალე, სხეულის იმ ნაწილს დავამუშავებთ, სადაც ბზიკმა გიკბინათ.

– ხოო, თავიდანვე ასე გეთქვათ, ექიმო! თითზე მიკბინა, თითზეეე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი** (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე** (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.10